პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ყოველდღიური გაზეთი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომი-
ტეტის და სრულ. საქარ. მ.,
მ., წ.-აზერ. და მაღალთა და-
კუტატების საბჭოთა ცენტრა-
ლური აღმასრულებელ კომი-
ტეტის ორგანო.

**რედაქცია:** თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

**მთავარი კანტორა:** ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 სთ. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომბარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.

პროვინციაში 12,000 მან.

182 ხუთშაბათი, 10 აგვისტო 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 10 აგვისტო 1922 წ. № 182

## იაპონია უკან იხევს

როდესაც გენუის კონფერენციაზე გარჩეოდა საკითხი ურთიერთ წინააღმდეგ აგრესიული მოქმედებისაგან თავის შეკავებაზე, იაპონიის დელეგატმა საკმაო ტლანქათ წამოაყენა ერთი აზრი, რომელიც სხვა "გამოწერთნილი" დიპლომატი გამოსთქვამდა უფრო ფრთხილათ, თავისი ჭეშმარიტი ზრახვების მიჩქმალვით: მან მოითხოვა, რომ ეს შეთანხმება არ გავრცელებულიყო შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკაზე. ლლოიდ-ჯორჯმა, რომელმაც, რასაკვირველია, კარგად იცოდა რა უნდოდა ეთქვა მეორე მტაცებელს (იტყვიან: მეთევზე მეთევზეს შორიდანაც აჩნევსო) სიცილი დაიყარა თავის ჯერ კიდევ საკმაოთ „გამოთქვილ“ კოლეგას და მით ხელი შეუწყო უფრო გამიაზეა რავენულიყო „ალმოსავლეთის ინგლისელებს“ იმპერიალიზმის ისედაც ნათელი მიზნებისა.

იაპონიის დელეგატი გამოხატავდა გენუიაში მისი გამომავალ ელების ინტერესი მიზნებს. აღმოსავლეთ ცომბირი უნდა ყოფილიყო მათი საბოლოო ოკუპაციის ობიექტათ და ბუნებრივია, რომ ისინი ასე ადვილათ ვერ დასთანხმდებოდნენ, რომ ფედერაციის მეგობარი დიდი რესპუბლიკა შორეულ აღმოსავლეთისა შეეპნილიყო ხსენებულ ხელშეკრულების მიღების ფაქტთ ხელშეუზებელი.

ოკუპაცია ყოფილ რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიის ხდებოდა იმავე წესით, როგორითაც საზოგადოთ ხერხდება ყველა „ველური მდებარე“ ტერიტორიების დაპყრობა. ამას ხელს უწყობდა საერთო გიგმა მოკავშირე სახელმწიფოების უკვე ომ დროიდან, როდესაც განძრახული იყო ასეთი საშეალებით რევოლიუციონური რეჟიმის მოსპობა რუსეთში და იქ ძველი მდგომარეობის აღდგენა. დასავლეთ ევროპის ინტერვენციონისტების დამარცხების შემდეგ, იაპონია, თავის იმპერიალისტური და რუსეთის შინაური მდგომარეობისათვის კონტრრევოლიუციონური ზრახვებით, რასაც ხელს უწყობდნენ შორეულ აღმოსავლეთში გაქცეული თეთრგვარდიელები, წარმოადგენდა რევოლიუციისათვის ყველაზე უფრო საფრთხე ძალას. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ მასთან სამხედრო შეტაკების შემთხვევაში რევოლიუციას საქმე ექნებოდა სერიოზულ მოწინააღმდეგისთან მისი იარაღის ძლევამოსილების ტრადიციის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ამ ქვეყნის რევოლიუციონური ძალების არა საკმაოთ განვითარების გამო, კეთილულნე ძნელი იქნებოდა ომის ვაკუნალიის წინააღმდეგ ამდგარიყო რაიმე გადამწყვეტი შინაური აქტიური ძალა, რომელიც შეასუსტებდა შინაურ ფრონტს და ამით საგრძნობლათ გააოვლდებოდა მასთან ბრძოლა. ეს მომენტი უმნიშვნელო როლს არ თამაშობს. თუ საერთოთ დასავლეთის იმპერიალიზმის ცდა რუსეთის წინააღმდეგ დამარცხებით დათავდა—ამის მიზეზი, გარდა სახელმწიფოთა შორის ინტერესთა წინააღმდეგობისა, იყო არა უკანასკნელი ანგარიშით ის, რომ მუშათა მოძრაობა იქ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს მუშურ-გლეხურ რუსეთთან ომის საკითხში.

თუ ამ უკანასკნელ გარემოებას ისეთი მნიშვნელობა არ აქვს სამუშაროთ დღეს კიდევ იაპონიაში, იქ საკმაო სიძლიერით მოქმედებენ სხვა ფაქტორები. იაპონიის წინააღმდეგ არის ჩინეთი, მასთან ანგარიში აქვს გასწორებული ამერიკას. მისი კავშირი დასუსტებულია ინგლისთანაც. ხოლო ეოფრის მოგზაურობამ ტოკიოში ვერასფერი რეალური შემატა

საფრანგეთის გეგმებს რუსეთის საწინააღმდეგოთ. გარდა ამისა, როგორც ამერიკაში, ისე იაპონიაშიც, რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში, ერთმანეთს ებრძვის ორი მიმდინარეობა: ფინანსიური და სამხედრო ველო კაპიტალის. პირველი მას უჭერ კავგებს ექსპანზიისკენ, მეორე სცდილობს შინაური მრეწველობის აღორძინებას, და ზომიერებას იჩენს ახალი კოლონიზაციის საკითხებში, რამდენადაც მას ვერ მოუნელებია უკვე წინა ომებით დაპყრობილი ქვეყნები და ვერ „დაუმეგობრებია“ ისინი თავისი ნაციონალური მრეწველობის კრიზისის გამო. იაპონიის ახალი მოგზაურობის პოლიტიკა გამოხატავს ღელვიანობით ამ ძალების ნიბის და ეს არის ერთი შინაური გადამწყვეტ მიზეზთაგანი იმის, რომ ერთ მომენტში ტლანქათ შეწყვეტილი სამშვიდობო მოლაპარაკება დეირენში, შორეულ აღმოსავლეთის მთავრობასთან, კვლავ ახლდება და მასში მონაწილეობას მიიღებს თვით იაპონიის მთავრობის ინიციატივით. რუსეთის საბჭოთა მთავრობაც მათთან თანასწორი უფლებებით.

ამნაირათ ინტერესთა წინააღმდეგობა გარეთ, საზოგადოებრივ ძალთა ჭიდილი შიგნი, სამეურნეო კრიზისი და შეუძლებლობა ახალი სისხლის და ხარჯების გაღების ახალ ახალი ავანტიურების საწარმოებლათ—ეს ყოდივს საჩუქანათ **დღეს დღეობით** იაპონიის სამშვიდობო პოლიტიკას შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკასთან და მით საბჭოთა რუსეთთანაც.

იაპონიის იმპერიალიზმის სტლანქმა ჩვენ საკმაო საფუძველიანათ შიგიანწავლა, 1918 წლიდან რუსეთთან მისი დამოკიდებულების პრაქტიკით, რომ ჩვენ „თვალებს არ დავუჭიროთ“ იაპონიის ევაკუაციის მოლოდინშიც, მაგრამ არა ერთხელ გამოცხადებული განძრახვა ამ ევაკუაციის შესახებ საარწმუნოთ ხდის და ბოლოს ასეთ ფინალს, რადგან ის სისწორით გამოხატავს „იმპადალი მზის“ ქვეყნის თვის შიქნილ შინაურ და საგარეო მდგომარეობას.

შორეულ აღმოსავლეთის საქმეების ასეთი მიმართულება არის კიდევ ერთი მახვილი საბჭოთა ფედერაციის ყველა მტრების გულში შეჩრილი. ის ერთნაირათ დელოსპვილია, როგორც ყველა მომავალ ინტერვენციაზე მეოცნებეებისთვის, ისე შინაურ კონტრრევოლიუციონერებისთვის, რომლებიც იაპონიაზე ამყარებდნენ თავიანთ მილიულ იმედებს და ეს ითქმის ჩვენი ქვეყნის, საქართველოს შავბნელ, ძალებზეც, რომლებიც ამ მხრივ ხორცი ხორცთაგანი არიან რუსეთის და საერთოთ უჯხოელ თეთრგვარდიელების. თბილისის ქუჩებზე თავის უფლათ, ჯერ კიდევ თავის უფლათ, მოსეირნე ზოგ ვეუბატონებს არა ერთხელ გაბრწყინვებიათ მოღუშული სახე ყოველთვის, როდესაც რუსეთის შორეულ ადგილებს განუცდია ჯალათი ხელის „ნაკმი“. ამ ვეუბატონებს მიფერფლილ თვალებში არა ერთხელ გაუკრავს იმედის ნაპერწკალს შორეულ აღმოსავლეთის ყრუ ქუხილზე. „Ex oriente lux“, „სინათლე აღმოსავლეთიდან“—ასეთ სინათლეთ უნდოდათ მოვლინებოდათ ამ ბნელ ძალებს იაპონიის ინტერვენცია. ეს იმედიც ჩაიკიცეთ მათ დღეს დღეობით. ფედერაციის ძალების მაქსიმალურათ დაჭიმვით ეს „დღეს დღეობით“ არსებული ფაქტი უნდა გახანგრძლივდეს. ასეც მოხდება. და ეს იქნება ახალი გამარჯვება დიდი რევოლიუციის, ახალი დამარცხება კონტრ რევოლიუციის.

## რა ხდება გერმანიაში

გერმანიაში ამ ბოლოთ ძლიერ რთული მდგომარეობა შეექმნა ვერსალში დადებული ხელშეკრულობის თანახმათ გერმანია ვალდებულია გადაუხადოს გამარჯვებულ სახელმწიფოებს 132 მილიარდი ოქროს მარკა. ეს გადასახადი უდრის გერმანიის ეროვნული სიმდიდრის ნახევარს. გერმანიის „მოვალეები“ მზათ არიან ეროვნული სიმდიდრე გერმანიის გაანახევრონ. მართალია, ხელშეკრულობის თანახმათ გერმანიამ ვალი 30 წლის განმავლობაში უნდა გადაიხადოს, მაგრამ ეროვნული სიმდიდრის განახევრება ისეთი დიდი და აუტანელი პირობა არის, რომ გერმანია ვერ შესძლებს მის ასრულებას. განსაკუთრებული ყურადღება მკითხველის უნდა მივაქციო ვერსალში დადებული ხელშეკრულობას. ვინ იყო ვერსალში? საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელნი. დღეს ლლოიდ-ჯორჯი, პუანკარე დიდის გულმოდგინებით ცდილობენ შეასრულონ ვერსალის დადგენილება. ვერსალის ხელშეკრულობის დამდებნი ბრძყვები არ იყვნენ, ისინი ანგარიშობდენ რასაც აკეთებდენ. როდესაც გერმანიის ვალი 132 მილიარდ ოქროთი გამოიანგარიშეს რას ფიქრობდენ ლლოიდ ჯორჯი და მისი დამქაშები? ვინ უნდა გადიხადოს ეს საშინელი ვალი? ვინ ისჯება? ვილჰელმ მე-2 და მისი ამალა თუ გერმანიის ერი? უმთავრესათ გერმანიის ერის უმრავლესობა—მშრომელი ხალხი.

ცხადია, დღევანდელი გერმანიის მშრომელი ხალხის შვილები და შვილის შვილები 30 წლის განმავლობაში ვალდებულნი არიან იმუშაონ, ჭირვარამში იყვნენ, რომ ვალი დროზედ მიართვან. გერმანიის მშრომელი ხალხის მიერ დაწყებული იყო ომიანობა? რა ქონდა საადავო გერმანიის გლეხს და სოფრანგეთის მუშას.

ვერსალის დადგენილება არის ნამდვილი, პირმადე ახსნილი ყაჩაღობა. ყაჩაღობა მალულად არ მომხდარა, ყაჩაღობას არავინ ფარავს, ისტორიის წარსულში უალრესი ბარბაროსობის დროს ასეთი სამარცხვინო, ასეთი თავაშვებული გაყვლეფა არ ყოფილა.

ვერსალის ხელშეკრულების დადების შემდეგ პირველი წლების განმავლობაში გერმანია ვალდებული არის ყოველწლიურად გადიხადოს ორი მილიარდი ოქროს მარკა და 26 პროც. გერმანიიდან გატანილი საქონლის ღირებულების. შარშან გერმანიამ პირველი 5 წლის ვალისა გადაიხადა. მიმდინარე წლის მარტში გერმანიას შეუმცირეს გადასახადი, ვინაიდგან მას არ შეეძლო გაეღო ისეთი დიდი თანხა. 2 მილიარდ მარკის მაგიერ გერმანიას უნდა გადაეხადა 720 მილიონი ოქროს მარკა. 15 ივლის 1922 წ. გერმანიამ კიდევ ერთი წილი ვალის გადიხადა.

გერმანიამ მოიწადინა სესხის აღება და ვალების გასწორება. სესხი გერმანიას არავინ მისცა. გერმანიის მარკა ღლიდან ეცემა. კარგავ თავის ღირებულებას. გერმანია იძულებული არის მიმდინარე ქალალდის ფული, შეიყიდოს ოქრო, უცხო სახელმწიფოს ფულის ნიშნები და ვალები გადიხადოს. ქალალდის ფულის შეჩვევა იწვევს ფულის ღირებულების შემცირებას, საშინელ გაძვირებას ცხოვრების, საერთო გაღატაკებას მოსახლეობის.

მიმდინარე წლის 15 მარიამობისთვის გერმანიამ კიდევ ერთი ნაწილი ვალისა უნდა გადიხადოს. სროლოიდ ჯორჯი, რომ გერმანია ამ ნაწილს ვერ გადიხდის, სახსარი არა აქვს. უნია მოეგონოთ მკითხველს, რომ გერმანიამ იმავე ვერსალის ხელშეკრულების ძალით მისცა გამარჯვებულ სახელმწიფოებს დიდძალი ქონება სამხედრო, რკინის გზის, ფოსტოდ უნდა დაუთმოს 1,726,000 ტონა ანუ 103 მილიონი ფუთი ნახშირი ყოველთვიურად აგვისტოდან ოქტომბრამდე.

იმ ვალებიდან, რომელიც გერმანიამ უკვე მისცა გამარჯვებულ სახელმწიფოებს. ინგლისმა მიიღო თავისი წილი—956 632,000 ოქროს მარკა ანუ 50,351,000 სტერლინგი. რას მოახმარა ინგლისის მთავრობამ ეს წართმეული ფულები, ამდენი ოქრო? სწავლა განათლებას, სოფლის მეურნეობას? არა, რამოდენიმე ათეული მილიონი სტერლინგი დაიხარჯა ინგლისის ჯარების შესანახათ, რომელიც რეინის მიდამოებში არის ჩაყენებული. ინგლისის ჯარები გერმანიაში არიან დარაჯობით, რომ გერმანიამ ვალდებულებანი შეასრულოს.

გერმანიას ამ ჟამად არ შეუძლია ვალი გადიხადოს და ითხოვს რომ მას სამი წლით ადრევონ ვალის გადახდა. მოწინააღმდეგე სახელმწიფოებმა თხოვნაზე ჯერ პასუხი არ გასცეს გერმანიას, მხოლოდ მოთხოვეს თანხმობა, მოკავშირე სახელმწიფოების ზედამხედველობა გერმანიის ფინანსებზე. გერმანია აცხადებს თანხმობას. მოკავშირე სახელმწიფოების დანიშნული ზედამხედველები ვალდებულნი არიან მუდმივი კონტროლი გაუწიონ გერმანიის შემოსავალ გასავალს; ყოველნაირი ნაბიჯი, რომელსაც გერმანია გადადგამს აუცილებლად უნდა იქნეს დადასტურებული დასახელებული კონტროლიორების მიერ, მათი თანხმობის გარეშე გერმანია ვერ შიმოიღებს ვერც ერთ ახალ გადასახადს, ვერც ერთ ხარჯს ვერ გაწევს გერმანიის ბიუჯეტი ვიდრე ის რეხსტაგში იქნება შეტანილი უნდა იქნეს განხილული კონტრილიორების მიერ, მათ უფლება აქვთ შეიტანონ შესწორებები. გერმანია ისეთ გასაჭირს განიცდის, რომ მზად არის მიიღოს ზედამხედველობა. რას ნიშნავ ეს ზედამხედველობა? ეს ნიშნავს იმას, რომ გერმანიის, როგორც სახელმწიფოს, დამოუკიდებლობა, მოისპობა. გერმანია გაზდება კონტროლიორების სათამაშო.

გერმანიის მთავრობა თანხმდება. მან ვერ გამოიჩინა სიმტკიცე, ვერ გაუწია წინააღმდეგობა მოკავშირე სახელმწიფოებს. ისტორიიდან ჩვენ ვიცით ასეთი მაგალითი, როდესაც ოსმალეთი იყო დაუნებული ზედამხედველობის ქვეშ. გერმანია მოწინააღმდეგე სახელმწიფო და დაქვეითებული ოსმალეთი ერთი და იგივე არ არის მათ შორის დიდი განსხვავებაა.

გერმანიამ თხოვნაზე ვალების გადახდის ვადების გაგრძელების შესახებ პასუხი ვერ მიიღო. ვალის წილის გადახდის დრო მოახლოვდა. ყველა ზედ უდიდეს თავზედობას იჩენს პუანკარე. პუანკარეს ანსჯერა, რომ გერმანიას არ შეუძლია ვალის გადახდა. ის არწმუნებს საფრანგეთს, რომ გერმანია ცდილობს ყველა მოატყუოს, მოიჩვენოს გაკოტრებულად და თავი იხსნას ვალდებულებისაგან. საფრანგეთის თავადებული შინაგან საქმეთა მინისტრები იმასაც გაიძახიან, რომ გერმანია განზრახ სცემს მარკის ღირებულებას, განზრახ აყენებს საშინელ გასაჭირში სახალხო მეურნეობას, რომ თავი შეიკავოდეს ევროპას, რათა აპატრონ ვალები.

პუანკარე წინააღმდეგია რაიმე დათმობის გერმანიის. სამ მარიოზის თვის გაუგზავნა ნოტა გერმანიას და მოითხოვა ვალის წილი, წინააღმდეგ შემთხვევაში იმოქმედებ. ის აშინებს გერმანიას, დაბეჯითებით იმეორებს, რომ იძულებული იქნება ძალას მიმართოს. გერმანიამ აცნობა საფრანგეთს, რომ ვალის გადახდა დროზედ არ შეუძლია და ითხოვს შეღავათიან პირობებს.

პუანკარე მოქმედებს დამოუკიდებლათ, იმ დროს, როდესაც ვალების გასწორების საკითხი შეეხება არა მარტო საფრანგეთს, არამედ ინგლისსაც. პოინკარემ, რაც უნდა მოხდეს, ნადაელი უნია აიღოს. ის ისე ელაპარაკება გერმანიას, როგორც ძველი ბატონი თავის ყმას. პუანკარეს ნოტები გერმანიისადმი მიდიდურია, აღსავსეა მოჭარბებულ ბიარაღის ელვარებით.

გერმანია გაკოტრებული არის. მისი სახალხო მეურნეობა ვერ აიტანს იმ ვალდებულებას, რომელიც მას დააკისრა ვერსალის ხელშეკრულებამ. გერმანია გაძარცული არის, მისი გაძარცვა გრძელდება და ეს საშინელი ისტორიული მოქმედება სრულიად აშკარა ხდება.

გერმანიის გაკოტრება არ არის მარტო მისი გაკოტრება. ეს არის გაკოტრება ევროპის წოდებული ანტანტის, მათი ვინც ვერსალში თავი მოიყარეს, ვინც დაადასტურა და ხელი მოაწერა გერმანიის გაყვლეფის პირობებს.

რა მნიშვნელობა აქვს გერმანიის ამბებს? რისი მაჩვენებელნი არიან ისინი. ვერსალის ხელშეკრულობამ შექმნა ისეთი წინააღმდეგობანი და ურთიერთობანი ევროპის სახელმწიფოთა ხელმძღვანელთა შორის, რომ უკვე გამოსავალი აღარ სჩანს. მას წაუყენერეს ხელი, რომ სული ამოართვან. გერმანიის ერს განადგურებას უქადიან გამატონებული კლასები და თამამათ მოქმედებენ.

მაგრამ მდგომარეობა არც ისე არის, როგორც პუანკარეს ჰგონია; პუანკარეზედ უფრო მაგარი თავიანები იყვნენ და ვერ გაუძლეს ერთ დიდ ძალას. ყველამ იცის ვის აქვს ძალა. წარმოსადგენია, რომ გერმანიის მშრომელი ხალხი პირდაპირ ჩაუვარდება დასასლხლინებულ ხელებში პუანკარეს? გერმანიაში უკვე მზადდება ნიადაგი და ძლიერი სულის კვეთება, რომელიც წალეკავს პუანკარეს პოლიტიკას—აჯანყებას.

**ხ. ავალიანი.**

## პრესა

### ბაუგებრობა თუ სიყალბე?

„სმენავიზისტების“ გამო მეტისმეტათ გაგრძელებულ კამათს გაზ. „ტრიბუნასთან“ გათავებულათ ჩვენ ველიდით, რომ უკანასკნელ „პასუხში“ მის მეპრესეს არ გამოეტყვრინა ერთი ახალი გარემოება, რომელსაც **უშუალო** დამოკიდებულება არ აქვს ამ კამათის საგანთან.

„სიტყვამ მოიტანა“ და ერთ-ერთ ჩვენ „პრესაში“ „სმენავერხისტების“ შესახებ ვთქვით, რომ ჩვენ წინააღმდეგ იარაღით შებრძოლ ან ასეთი ბრძოლის სურვილის მატარებელ კლასიურ მტრებს ჩვენ ვებრძვით „იარაღის კრიტიკით“, ხოლო სხვებს „კრიტიკის იარაღითაო“. რაც მიზეზს გამო ამაში „ტრიბუნამ“ დაინახა მუქარა მისი მისამართით ჩვენ ვანუგეშეთ გაზეთი და ხელახლა ავუხსენით მას ის აზრი, რომ თქმული შეეხება კლასიურ მტრებს და ისიც იარაღით ან სხვა ასეთი საშუალებით მებრძოლთ ჩვენ წინააღმდეგ. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს არ შეეხებოდა „ტრიბუნის“ ტეტს“ რადგან, რამდენადაც ვიცით, ისინი არ ეკუთვნიან ისეთ ხალხს, რომელიც მიზნათ ესახავს ჩვენში არსებული რეჟიმის დამხობას და კავშირი აქვს შინაურ ან გარეშე კონტრ რევოლიუციასთან. როგორც ეტყობა „ტრიბუნა“ მაინც ვერ „დაშოშინებულა“ და კვლავ შინის გამომტყველი თვალებით იყურება ჩვენსკენ. იტყვიან დაშინებულმა ძაღლმა ერთი წელიწადი ჯირკს უყეფო.

რაშია საქმე? გაუგებრობასთან გვაქვს ჩვენ საქმე თუ სიყალბესთან? ჩვენ ვწერდით ასე:

ჩვენ „ტრიბუნისტები“ არიან მორცხვი მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ კითხვებში, განსაკუთრებით ისე თებში, რომლებიც ატარებენ ადგილობრივი ხასიათის ბეჭედს. მათ შორის ორგანიზაციულათ კავშირი არ არსებობს, რამდენადაც განცალკევებულათ არსებობენ ერთი მეორე საგან, მაგრამ... მძიმეა ტრადიცია და მისი ბასრი ბრეტყალები შეჭრილია „ღვეთოთ“ „მემარცხენეობის“ თავებში. ეს გარემოება ჩვენ არ დაგვავიწყა, ამას ანგარიში უნდა გაეწიოს ე. ი. ბრძოლაა საჭირო ამ „თავების“ „დასაპყრობათ“, ყოველ შემთხვევაში იმდენათ, რომ ფეცრათ, როგორც ეს ხდება ხოლმე, შეეძლებელი შეიქნეს მათი „გამოგორება“ „ტრიბუნის“ ფურცლებზე და ძველებურათ, თუმცა „მორცხვათ“ და არა საკმაო „ალგებულათ“ და გაბედული ხმით („მემარცხენეობა“ ავალებს!) ხავს მოდებული, ზოგიერთ ფრეებში კიდევ თავშეფარებული „ღრმილიო ბიწილიოს“ განმეორება.

გვგონია, რომ აზრი ნათელია. მაგრამ „სასახლის ქუჩაზე“ ალიაქოთი ამტყდარა და „ტრიბუნის“ რედაქციაში ერთი „მოთქმაა“ ერთი მოუსმენელი მაო:

„კომუნისტებს“ მუქარას, რომელიც „თავების გაგორებით“ გვიმუქრებოდა, ჩვენ უწოდეთ „იარაღის კრიტიკა“ და აღვნიშნეთ, რომ თუ ასეთი მეთოდით წარიმართებოდა ჩვენს შორის ბრძოლა, ცხადია გამარჯვება „კომუნისტს“ დარჩებოდა ამის შესახებ „კომუნისტს“ მეპრესე გვეუბნება, რომ „ტრიბუნას“ ამაში რადაც მუქარა დაუნახავს და შეშინებულიაო, ჩვენ კი აზრად არ მოგვსლია მუქარაო.

საქმე ის არის, რომ საბჭოთა წყობილებაში რასაც ციკა იტყვის მას ჩეკა ასრულებს და **როდესაც ცეკას ორგანომ „თავების გაგორება“ გვაუწყა ვფიქრობ, რომ ეს მუქარა არის...** (ხაზი ჩვენია მეპ.).

საკმაოა მკითხველმა შეადაროს ორი ამონაწერი: ჩვენი და „ტრიბუნის „კომენტარიები“, რათა დარწმუნდეს, რომ „ტრიბუნის“ მეპრესე სჩადის სიყალბეს, რადგან ნათელი აზრის ამგვარათ გაუგებრობა წარმოუდგენელია. საკმაოა დავუყენოთ ამ სიყალბის მოქმედებას კითხვა: სად იყო სხვა-ალაგას ან მის მიერ მოყვანილი აზრით ნახმარი **„თავის გაგორება“** რომ მას „მეცილეში ჩაუვარდეს ენა“ და გაშეშდეს.

„ტრიბუნას“ გასაოცარი მეპრესე ჰყოლია. „ვუნდერკინდ!“

მაგრამ უმთავრესი აქ სხვა რამ გახლავთ.

მთელი ეს ხმაურობა „სმენავიზისტებზე“ ქამათის დაბოლოვებისას არის „სტრატეგიული“ „ნიუკუზე“, უკანდახევა. როგორი ალიაქოთიც არ უნდა ასტეხოს „ტრიბუნამ“, ცხადია: ამით ვერ მიმალავს იმ სიყალბეს, რომ მან: 1) კრემლს და კომუნისტებს შესწამა ნაციონალიზმი, „სმენავიზისტებთან“ დაახლოება, დაბოლოს შეარბილა ასეთი აზრი და რამოდენიმეთ უარიც სრქვა ამაზე, 2) მკითხველებს დაუმალა ის, რომ სმენავიზისტების წინააღმდეგ სწარმოებს ბრძოლა, როგორც კლასიურ მტრებთან, რომლებიც ჯერ არ ასცდენიან **ლეგალურ** ნიადაგს; 3) მან ვერ გამოყო პოლიტიკური მომენტი ამ ბრძოლაში, რამდენადაც ის არჩევდა ზოგი ორტორის გამოსვლას ერთ დისპუტზე მოსკოვში და დასასრულ ასეთი „გაუგებრობა“ დასჩემდა მას, რადგან ის ეშვით უუურებს საზოგადოო კრემლს და მმართველი პარტიის ცენტრს. ყოველივე მოხდა, რადგან „მემარცხენე სოციალ-ფედერალისტები“, მოწყვდეულნი ნაციონალურ ნაპუჭში, მოკლებულნი არიან პერსპექტივების სიფართოეს თავიანთ აზროვნებაში და მათი თავები ჯერ კიდევ შებოჭილია მემარჯვნეობით და ძველი პარტიული ტრადიციებით.

# რადიო-დეპეშები

(„ჟამგრაფ სტატ“)

## ფითელ რესპუბლიკებში

### რუსეთი.

**სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა ყირიმში.**

**სიმფეროპოლი,** 25 ივლისი. გურზუფის მშრომელთა მიტინგზე, რომელიც გაიმართა იქ მყოფ ამხ. კალინინს ს

## თბილისის ქალაქის აღმასკომი.

თბილისის ქალაქის აღმასკომი ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ შრომის და ტვირთზიდვის ხარკის ფულით შეცვლის აკრეფის დღე იქნება გამოცხადებული განსაკუთრებულად, მანამდე ყველა ის პირნი, რომელნიც ვალდებულნი არიან, თანახმათ დადგენილებისა № 6 გადაიხადონ შრომის და ტვირთზიდვის ხარკის ფულით შეცვლა, და აგრეთვე სახლის პატრონები, კომენდანტები და მობინადრეთა კოლექტივები, მოვალენი არიან დაამზადონ აღნიშნული გადასახადი, რომელიც დაუყონებლივ უნდა იქმნეს შეტანილი დღიდან ვადის გამოცხადებისა.

ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეს მოად. **ი. წიგნიგაძე.**

შრომის და ტვირთზიდვის ხარკის გამტარებელი კომისიის თავმჯდომარეს მოად. **ნ. ნასყიდაშვილი.**

(1—1) პასუხისმგებელი მდივანი კომისიის წევრი: **ა. რუხაძე.**

**თანახმად წესდების 52 მუხ. 1 ენკენისთვეს 1922 წ. 11 ს. ძ. ჯიათურაში თეატრის დარბაზში შესდგება**

## ჯიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების აქციონერთა მესამე მორიგი

# საზოგადო კრება

**განსახილველი საკითხები:**

1. მოხსენება გამგეობისა და 1920—1921 საოპერაციო წლეების ანგარიშების განხილვა
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა და ანგარიშების დამტკიცება.
3. მმართვა გამგეობის განწესრიგების საკითხი.
4. მომავალი მოქმედების გეგმა და მუშაობის წესი.
5. 1922 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
6. მიმდინარე საქმეები.
7. არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

თუ დანიშნულ დღეს კრება არ შესდგა აქციონერთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის ან სხვა მიზეზის გამო კრება გადაიდება 14 ენკენისთვისათვის და ეს კრება ჩაითვლება კანონიერად გამოცხადებულ აქციონერთა რიცხვის მიუხედავათ.

გამგეობის თავმჯდომარე **ის. ვარაზაშვილი.**

გამგეობის მდივანი **ის. ბერეუიანი.**

2—1

სეთის კომპარტიის წევრთა დიდი უმრავლესობა, გაამართლებენ ყირიმის მუშათა და გლეხთა იმედებს.

**საფონდო ბირჟის ორგანიზაციის გამო.**

**მოსკოვი.** 2 აგვისტო. განიხილა რა საკითხი საფონდო ბირჟის დაარსების შესახებ, ფინანსთა სახ. კომისარიატის კოლეგიამ მხარი დაუჭირა საფონდო ბირჟის ორგანიზაციას ფუნქციების განსაზღვრით. ბირჟის სათავეში უნდა იდგეს ბირჟის კომიტეტი, რომელიც მუშაობს სახელმწიფო ბანკის ხელმძღვანელობის ქვეშ; ბირჟის კომიტეტის შემადგენლობაში შედიან კერძო პირთა წარმომადგენლები, რომელნიც მონაწილეობას იღებენ. ბირჟაზე.საფონდო ბირჟაზე დაწესებული იქნება ფასები ფასიან ქაღალდებზე (პური სესხის ობლიგაციები, ბანკნოტები), რომელიც არ უარყოფს მათ კოტიროვკას სავაჭრც ბირჟაზე.

# კაპიტალიზმის სამეფოებში

## ლონდონის თათბირი.

**თათბირის გახსნა.**

**ბორდო.** 8 აგვისტო (რადიო). ორშაბათს გაიმართა პირველი სხდომა თათბირისა ლოიდ-ჯორჯის თავმჯდომარეობით.

**თათბირი ხანგრძლივათ არ გაგრძელდება.**

**ბორდო.** 8 აგვისტო (რადიო). საფრანგეთის გაზეთების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ლონდონის თათბირი დიდხანს არ გაგრძელდება.

**ბონნაში.**

**ნაუენი.** 8 აგვისტო (რადიო). საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობამ ბონნაში მოითხოვა 28 აკრი დამუშავებული მიწის მათთვის გადაცემა ახალი კაზარმების ასაშენებლად. ამ ქალაქის ფრანგების გარნიზონში არის 7.000-მდე ჯარისკაცი.

## გერმანია.

**ვირტის განცხადება.**

**ნაუენი.** 8 აგვისტო (რადიო). კანცლერ ვირტმა გაზ. „ნიუ-იორკ გერალდის“ კორესპონდენტთა ინტერვიუში განაცხადა, რომ გერმანიას არ შეუძლია კონტრიბუციის ოქროთი გადახდა მას შემდეგ, რაც მან დაკარგა ათვისი შემოსავლის წყარო საექსპორტო ვაჭრობაში წარმოების შემცირებისა და ბაზების დაკარგვის გამო. ახლანდელი ექსპორტი შეადგენს მხოლოდ 30 პროც. ომამდე არსებულ ექსპორტირას. გერმანია იძულებულია შემოიტანოს 38 პროც.-მდე პური, ხოლო არსებული ხორცის რაოდენობა უდრის მხოლოდ 76 პროც. ომამდე არსებული რიცხვისას.

**საფრანგეთის პასუხი.**

**ნაუენი.** 8 აგვისტო (რადიო). **გუშინ ბერლინში მიიღეს საფრანგეთის პასუხი გერმანიის იმ ნოტაზე, რომელიც შეეხებოდა 15 აგვისტოსათვის გადახდათა შეტანის საკითხს. პასუხში ნათქვამია, რომ 15 აგვისტოს დაიწყება რეპრესიები.**

**პირველი მერცხალი.**

**ნაუენი.** 8 აგვისტო (რადიო). პარიზის გაზეთის ცნობით, ელზას-ლოტარინგის საბანკო დაწესებულებებს მოუვიდათ ბრძანება შეაჩეროს გერმანელებისათვის დეპოზიტისა და პროცენტების გადახდა.

**პურის სიძვირე.**

**ნაუენი.** 8 აგვისტო (რადიო). აგვისტოს პირველ რიცხვებში ბერლინში კილო (2 ნახ. გირვანქა) პური ფასობდა 31 მარკა.

**გერმანიის საკითხი.**

**ბორდო.** 8 აგვისტო (რადიო). პუანკარეს და ლოიდ-ჯორჯს პირველ ყოვლისა აუცილებლად მიაჩნიათ გერმანიის ფინანსებზე კონტროლის დაწესების საკითხის სავსებით და საბოლოოდ გადაწყვეტა, რასაც შედეგად მოყვება გერმანიის მარკის სტაბილიზაცია. ამასთან ისინი მოაგონებენ გერმანიას, რომ ჯერ კიდევ ბრიუსელის საფინანსო კონფერენციამ 1920 წელში დაადასტურა, რომ ევროპის აღდგენა, უპირველესად ყოვლისა, დამოკიდებულია საკონტრიბუციო საკითხების მოწესრიგებაზე.

**თათბირი ფენისთან.**

**ბორდო.** 8 აგვისტო (რადიო). პუანკარესა და ფენისის თათბირის შემდეგ გაიმართა პირველი სხდომა, ინგლისის, იტალიის, ბელგიის, იაპონიის და საფრანგეთის მონაწილეობით. ლოიდ-ჯორჯმა აღნიშნა აუცილებლობა ფინანსიური საკითხების გადაწყვეტისა. შანცერმა განაცხადა, რომ ყველა მოკავშირეებმა თანაბრად უნდა დაუთმონ გერმანიას, ხოლო ფენისმა განაცხადა, რომ ბელგიის ფინანსიური მდგომარეობა ძლიერ სერიოზულია.

**ყველაფერში გერმანიაა დამნაშავე.**

**ბორდო.** 8 აგვისტო (რადიო). ლონდონის თათბირის პირველ სხდომაზე ფენისმა განაცხადა, რომ გერმანია ყოველთვის იყო მიზეზი მოკავშირეთა მარცხისა.

## ინგლისი.

**ლამანშის გვირაბი.**

**ბორდო.** 9 აგვისტო (რადიო). გაზ. „მატენის“ ცნობით 217 დეპუტატმა მიმართეს თხოვნით ინგლისის მთავრობას დანიშნოს სპეციალური სხდომა ლამანშის ჯვირაბის საკითხის შესახებ.

**ბალფურის ნოტის შედეგები.**

**ბორდო.** 8 აგვისტო (რადიო). გაზ. „პტი პარიზენის“ ცნობით, ბალფურის ნოტას შედეგათ მოყვა საფრანგეთის გეგმა, რომელიც დროებით გადასდებს ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტის და დაიცავს მხოლოდ საკითხს კონტროლის ზომების შესახებ.

**ინგლისის მუშები მაკგის კონფერენციის შესახებ.**

**მოსკოვი.** 8 აგვისტო (რადიო). ინგლისის **მუშათა პარტიის ლიდერმა გლეიაიკსმა წარმოსთქვა პარლამენტში სიტყვა მაკგის კონფერენციის შედეგების შესახებ. გლეიაიკსმა განაცხადა, რომ ინგლისის მინისტრები მოითხოვდენ რუსეთისაგან კერძო ხაკუთრების ღარბრუნებას და დაივიწყეს ის დანაშაულობანი, რომელნიც ინგლისმა ჩაიდინა რუსეთის მიმართ. ორატორმა აღნიშნა, რომ ინგლისი სდუმს იმ აუტანელი ზარალის შესახებ, რომელიც განიცადა რუსეთმა იმ დახმარების გამო, რომელსაც ინგლისის მთავრობა უჩენდა ხაბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობის ხელმძღვანელებს. „თუ ფიქრობენ, განაცხადა გლეიაიკსმა, გახადონ რუსეთი კერძო კაპიტალისტების მოწყალების ღირსი, მაშინ მიზანი აღარ ქონდა კონფერენციების მოწვევას. ჩვენი ინტერესები მოითხოვენ დახმარება გაუწიოთ რუსეთს მისთვის საჭირო კრედიტების შოვნაში. ინგლისის მთავრობა დაინტერესებული უნდა იყოს არა მარტო ფრანგი ძვირფასი ქაღალდების მეპატრონეებით, არამედ ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობითაც.**

**ინგლისის სოციალისტები.**

**ბორდო.** 8 აგვისტო (რადიო). **ინგლისის სოციალისტებმა გამოსთქვეს სურვილი ხელი შეუწყონ ინგლის-საფრანგეთის მეგობრობას.**

**რიგის პროფკავშირთა წევრების დაპატიმრება**

**მოსკოვი.** 7 აგვისტო. (რადიო). მაძებარმა პოლიციამ დააპატიმრა რიგაში პროფკავშირების პლენუმი. სულ დატუსაღებულია 40 კაცი. ამ დაპატიმრების მიზანია სეიმის მომავალ არჩევნებში პროფკავშირების ცალკე სიით გამოსვლის თავიდან აცილება.

## საფრანგეთი.

**ამნისტიის შესახებ.**

**მოსკოვი.** 9 აგვისტო (რადიო). საფრანგეთის კომპარტიის აღმასკომმა მიმართა მოწოდებით მუშებს საფრანგეთის მთავრობის ავანტიურა ამნისტიის შესახებ. მოწოდებაში ნათქვამია, რომ საფრანგეთის მუშათა კლასი არ დაუშვებს რუსეთის რევოლიუციისათვის ენერგიული მებრძოლის მარტის ციხეში დატოვებას მაშინ, როდესაც სამხედრო სასამართლოს წევრი ოფიცრები, რომელთაც დასაჯეს რამოდენიმე უდანაშაულო ჯარისკაცი, რჩებიან დაუსჯელნი, საფრანგეთის პროლეტარიატი განაგრძობს ბრძოლას მანამ მარტი არ იქნება განთავისუფლებული ნაციონალისტთა ბლოკის მძიმე ბრჭყალებიდან.

**კომუნისტების პროცესი საფრანგეთში.**

**მოსკოვი.** 9 აგვისტო (რადიო). პარიზის სასამართლოში დასრულდა პროცესი კაშენის, კუტიურესი და პეირის, რომელთაც ბრალს სდებდენ (დამახინჯებულია)... წერილის დაბეჭდვაში. ბრალდებულებმა პროტესტი განუცხადეს სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც მიკერძოებას იჩენდა. სასამართლომ უარყო ბრალდებულების პროტესტი და მიუსაჯა მათ ფულით დაჯარიმება.

**ომის შედეგები.**

**ბორდო.** 8 აგვისტო (რადიო). გაზ. „მატენის“ ცნობით საფრანგეთის სამხედრო ფლოტმა ომის განმავლობაში დაკარგა 11.357 მოკლული და უკვალოდ დაკარგული.

**ჟორესის მოკვლის წლის თავი.**

**მოსკოვი.** 8 აგვისტო (რადიო). ჟორესის მოკვლის წლის თავზე საფრანგეთის პროლეტარიატმა მოაწყო რამოდენიმე გრანდიოზული მიტინგი.

**ეიფულ გედის დასაფლავება.**

**მოსკოვი.** 8 აგვისტო (რადიო). ეიფულ-გედის დასაფლავებას პარიზში დიდი გრანდიოზული ხასიათი ქონდა. მასში მონაწილეობას იღებდა 40.000. მუშა. დასაფლავების შემდეგ გაიმართა დემონსტრაციები, მოხდა შეტაკებანი პოლიციასთან. მრავალი მუშა, რამოდენიმე ქალი და ბავშვია დაჭრილი. მრავალი დააპატიმრეს.

**პუანკარეს მოკვლის განზრახვა.**

**ნაუენი.** 8 აგვისტო (რადიო). გაზ. „მატენი“ უარყოფს ყველა ცნობებს პუანკარეზე თავდასხმის შესახებ, გაზეთი ამბობს, რომ ყოველივე ეს აშკარა ცილის წამება არის.

## სოციალისტური კონფერენცია.

**ნაუენი.** 8 აგვისტო (რადიო). გაზ. „ტანის“ ცნობით სოციალისტური შემდეგი კონფერენცია გაიმართება პრაგაში 12 აგვისტოს. ინგლისის წარმომადგენლებათ ამ კონფერენციაზე იქნებიან გენდერსონი და მაკდონალდი, ბერლინის—გიუისმანი და გერმანიის—ვოლსი.

**მემალაროვეთა შორის.**

**ბორდო.** 8 აგვისტო (რადიო). მემალაროვეთა საერთაშორისო კონგრესზე საფრანგეთში, დეპუტატ, ოსტეროგემ მიაქცია ყურადღება იმ მძიმე მდგომარეობაზე, რომელსაც ამ ჟამად განიცდის გერმანია. გერმანიის მემალაროვეთა საზოგადოების თავმჯდომარემ გუსმანმა გამოუცხადა თავისი სიმპატიები ამერიკაში გაფიცულ მემალაროვლეებს და სურვილი გამოსთქვა, რომ კონგრესმა შესძლოს გამონახოს საშვალებანი შრომის გასამარჯვებლად. ინგლისის დელეგატმა ხოდჟენმა განაცხადა, რომ ვერსალის ხელშეკრულება რადიკალურად უნდა იქნეს შეცვლილი.

## იტალია

**ფაშისტები**

**მოსკოვი.** 8 აგვის. (რადიო), 500 ფაშისტი შეკრებულ გაზეთ „ავანტის“ რედაქციაში და დასწვეს რედაქციის ნაწილი. რედაქციის პერსონალმა მოკლა ერთი ფაშისტი და რამოდენიმე დასჭრა.

**ბორდო.** 8 აგვ. (რადიო). სტეფანის საგენტო ადასტურებს, რომ გენუაში, მილანში, ანკონაში, პერმში და ლივორნოში ძალა უფლება გადაცემულია სამხედრო ნაწილის ხელში—წესიერების საბოლოოდ აღდგენამდე.

— იტალიის მინისტრთა საბჭო იხილავდა ზომებს, რომელნიც მიღებულნი უნდა იქნენ წესიერების აღსადგენათ და ფაშისტების გამოსვლების ასაღგამავათ. კათოლიკეთა ეკლესიის უმაღლესმა წევრებმა გადასწყვიტეს დახმარება აღმოუჩინონ იტალიის მთავრობას წესიერების აღდგენაში.

— ვილანში ფაშისტებსა და კომუნისტების შორის შეტაკების დროს მოკლულ იქნა 9 კაცი. მილანის არქიეპისკოპოზი მოუწოდებს მცხოვრებლებს დაიცვან წესიერება.

— პარმში ჩავიდა 2,000 კაცისაგან შემდგარი ფაშისტების რაზმი.

— ფაშისტების საიდუმლო კომიტეტმა დაადგინა გაამეტოს მილანიდან 7 კაცი, მათ შორის 3 დეპუტატი.

**მოსკოვი.** 9 აგვისტო (რადიო). ირკვევა, რომ იტალიაში საერთო გაფიცვის გამოცხადების მარცხის მიზეზი იყვნენ სოციალისტები. (დამახინჯებულია).... დასასრული არ არის მიღებული.

## ამერიკა

**ამერიკელ ნახშირის მაღაროს მუშათა შორის.**

**მოსკოვი.** 8 აგვისტო (რადიო). ამერიკის ტვირთის გადმომზიდავთა პროფკავშირმა დაადგინა სავსებით აკრძალოს ინგლისიდან მოსული ნახშირის გადმოტვირთვა, რომ ამით დახმარება გაუწიოს ამერიკის ნახშირის წარმოების გაფიცულ მუშებს. ამ დადგენილებამ თავზარდამცემი გავლენა მოახდინა მთავრობასა და მაღაროების მეპატრონეებზე.

## იაპონია

**განიარაღება.**

**ნაუენი.** 8 აგვისტო (რადიო). იაპონიის პრინც-რეგენტმა დაამტკიცა ვაშინგტონის შეთანხმება განიარაღების შესახებ.

## ავსტრია.

**კონფერენცია ავსტრიის ხაქმეების შესახებ.**

**მოსკოვი.** 9 აგვისტო (რადიო). ავსტრიის მთავრობა, ინგლისში გაგზავნილ ნოტაში მოითხოვს ამ ორი უანლესი თვის განმავლობაში სპეციალური კონფერენციის მოწვევას ავსტრიისათვის კრედიტების მიცემის საკითხის გადასაჭრელად, თუ ეს მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქნება. ავსტრიის მთავრობა პარლამენტთან ერთად გადადგება და ავსტრიის გამგებლობას ჩააბარეს მოკავშირეებს.

## შვეიცარია

**მუშათა დღე შვეიცარიაში.**

**ბერლინი.** შვეიცარიის ნაციონალურმა კრებამ, დიდი კამათის შემდეგ, 85 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 47 ხმისა, მოიწონა კანონ-პროექტი, რომლის მიხედვითაც მუშათა კვირა გადიდებული ია 54 საათამდის, რითაც ფაქტიურად ისპობა 8 საათის სამუშაო დღე.

**გაფიცვა შვეიციაში.**

**მოსკოვი.** 9 აგვისტო (რადიო). შვეიცის კერძო რკინის გზების მოსამსახურეებმა ხმის უმრავლესობით გადწყვიტეს გაფიცვის გამოცხადება იმ შემთხვევაში თუ დაკმაყოფილებული არ იქნა მათი მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ.

## ბელგია

**პასტერის დაბადების ასი წლის თავი.**

**ბორდო.** 8 აგვისტო (რადიო). ბელგიის სენატში შეიტანეს კანონ-პროექტი პასტერის დაბადების ასი წლის თავის აღსანიშნავად გასამართავი დღესასწაულის საჭირო თანხის რაოდენობის 25,000 ფრანკამდის გადიდების შესახებ.

**გემების დაღუპვა**

**ბორდო.** სტოლკოლმიდან იტყობინებიან, რომ გემი „ვენეციკა,“ რომლითაც მიეგზავრებოდა გენერალ როტმილდი თავისი ოჯახობით, დაღუპა კოლმარის მახლობლად. მისაშველებლად გაიგზავნა ორი მაშველი გემი.

— მარსელიდან იტყობინებიან, რომ გემი „ბელტონა“ დაღუპა 6 აგვისტოს მარსელის მახლობლად. გემის დაღუპის მიზეზი გახდა ძლიერი ბურუსი.

**რადიო სადგური.**

**ბორდო.** 8 აგვისტო (რადიო). სენტ-აიზენში დაიწყო მუშაობა მსოფლიოში არსებულ ყველაზე უფრო ძლიერმა რადიო სადგურმა, რომელსაც შეუძლია ცნობები მიაწოდოს მთელი ქვეყნის ყველა დაშორებულ კუთხეებსაც კი. რადიო სადგურის გახსნის გამო პუანკარემ გაუგზავნა მისალმება პრეზიდენტ გარდინგს და სიხარული გამოსთქვა იმის შესახებ, რომ ეს ახალი რადიო სადგური უფრო დაახლოვებს ამერიკასა და საფრანგეთს ორივ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის.

## მცირე ანტანტა

**ბორდო.** 8 აგვისტო (რადიო). ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ მცირე ანტანტის გარეშე საქმეთა მინისტრები სექტემბერში შეიკრებიან პრაგაში, პოლონეთთან კავშირის დადების საკითხის გამოსარკვევად.

## საბერძნეთის ავანტურა

**ბერძნები და სტამბოლი.**

**ნაუენი.** 8 აგვისტო (რადიო). საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა გაუცხადა გაზ. „დეილი მეილის“ კორესპონდენტს, რომ ბერძნებს სრულებითაც არ ქონიათ განზრახვა გალაშქრებულიყვნენ სტამბოლზე. მათ მხოლოდ სურდათ გავლენა ძალდანათ ძოკავშირეთა კონფერენციაზე, რომელიც შეიკრიბება ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ.

**ბორდო** 8 აგვისტო (რადიო). სტამბოლის მთავრობის უბდება დიდი ბრძოლა აწარმოოს მცხოვრებლების აზიის ნაპირზე გადასახლების წინააღდეგ.

## შორეულ აღმოსავლეთში.

**თეთრგვარდიელები მანჯურიაში.**

**მოსკოვი.** 9 აგვისტო (რადიო). მანჯურიაში თეთრგვარდიელების გაძლიერებულმა მუშაობამ მიიპყრო ჩინეთის მთავრობის ყურადღება, რომელმაც მოახდინა ჩხრეკა და დაპატიმრებანი. მაგრამ თეთრების რაზმების ორგანიზაციების მოწყობა გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს. ზოგიერთი ცნობების მიხედვით ამ ორგანიზაციებს მფარველობას უწევს იაპონია, რომელიც, როგორც სჩანს ახალ ავანტიურას ამზადებს შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

## მაღაროს მუშათა საერთაშორისო კონგრესი.

**მოსკოვი** 9 აგვისტო (რადიო). ფრანკფურტში გაიხსნა მაღაროს მუშათა საერთაშორისო კონგრესი, დღის წესრიგშია საკითხი—7 საათის სამუშაო დღის დაწესების შესახებ, მაღაროების სოციალიზაცია, საერთაშორისო 24 საათიანი გაფიცვა რეაქციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად და უვადო გაფიცვის გამოცხადება იმ შემთხვევაში თუ ომი დაიწყო. გაზ. „ოოტე ფანე“ მოითხოვს, რომ კონგრესმა აკრძალოს ინგლისის ნახშირის ამერიკაში გაზიდვა, გაფიცულ მაღაროს მუშათათვის სოლიდარობის გამოცხადების წინაშე.

## აღმოსავლეთში.

**ეგვიპტე და იტალია.**

**ბორდო.** 7 აგვისტო (რადიო). გაზ. „ჟურნალ დე დებას“ ცნობით იტალია-ეგვიპტის დელეგაციის მუშაობა, ეგვიპტესა და კირინაიკას შორის საზღვრის გამოსარკვევად, დაიწყება ოქტომბერში.

# ამერიკა-კავკასიის ფედერაციაში

## საქართველო

**აბასთუმანი.**

**საკურორტო ცხოვრება.** სეზონი გაცხოველებულია. კურორტის სამმართველოს მეცადინეობით ზოგიერთი აგარაკები შეკეთებულია. სამმართველოს სასანიტარო-ტეხნიკური ნაწილი იღებს ზომებს აბასთუმანის გასაწმენდათ, რისთვისაც სამაზრო აღმასკომმა გამოჰყო საჭირო მუშაძალები. საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის წინადადებით ახალციხის სამაზრო აღმასკომმა გამოჰყო სპეციალური რწმუნებული კურორტის ადმინისტრატიულ აპარატის განსამტკიცებლად. კურორტის დაცვა სამაგალითოდ არის დაყენებული, დღით და ღამით დარაჯობის გარდა, ღამით დანიშნულია ცხენოსანი გუშაგები. მიუხედავად აუარებელ ავადმყოფთა და მოგზარაკეთა თავმოყრისა ოთახები კიდევ ბლომად მოიპოვება. საკურორტო სამმართველოს მიერ გამოკრულია განცხადებანი, ზოგიერთ აგარაკების პატრონებისათვის დაბრუნების შესახებ. მეპატრონეებს დაუბრუნდებათ მხოლოდ ისეთი აგარაკები, სადაც ოთახების რიცხვი ხუთს არ აღემატება და ისიც აბასთუმანის მკვიდრ მცხოვრებთ. ყველა დანარჩენი აგარაკები აღრიცხულია სამმართველოს მიერ და საჭიროთ სწარმოებს მათი რემონტი. პროდუქტების ფასები ხელმისაწვდომია: პური 12.000 მან., ფილიუგი „მერინგტ“, რომელიც ცარიელი წვავიდა ნოვოროსიაში. ტუაფსედან მოვიდა იალქნიან-მოტორიანი გემი „იუდიფი“ საკერავი მანქანებით დატვირთული და ფოთიდან მოტორიანი კატერი „კოლხიდა“ უტვირთოდ.

## სამხრეთ-ოსეთი

**ხაბჭოთა მუშაკების კონფერენცია**

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის საბჭოთა მუშაკების კონფერენციაზე, რომელიც შეიკრიბა ცხინვალში, მოხსენებებიდან გამოირკვა ადგილობრივ მდგომარეობის შემდეგი სურათი: კუდარის დელეგატმა განაცხადა, რომ ადგილობრივ საბჭოთა მუშაკების ნაკლებობაა: მოსამსახურეები რაშოდენიმე თვეს რჩებიან ჯამაგირისა და ულუფის მიუღებლად, მაგრამ იმდენად ერთგულნი არიან საბჭოთა ხელისუფლების, რომ თავის ადგილზე სდგანან და მუშაობენ შეუჩერებლივ. დელეგატი ითხოვს ადგილობრივ პროფ. მუშაობის გაძლიერებას.

დუაფის დელეგატის განცხადებით სამხრეთ ოსეთის ყველა საბჭოთა მუშაკები ცენტრისაკენ—ცხინვალისაკენ—მიიზიდებიან; რის გამოც სხვა ადგილებში საბჭოთა მუშაკების ძლიერი ნაკლებობაა.

ამგვარივე განცხადებით გამოდის სუკარის დელეგატი. მილიციის სამმართველოს დელეგატი მიუთითებს, რომ მილიცია რამოდენიმე თვეობით არ ღებულობს ჯამაგირს. დელეგატი მოითხოვს ამ საკითხის მოგვარებას და ულუფის საქმის გაუმჯობესებას.

კემულტის დელეგატის განცხადებით, შემჩნეულია გამოცდილ მუშაკების ნაკლებობა და მცირე რიცხოვანი მუშაკები კი არ არიან დაკმაყოფილებული ჯამაგირით და ულუფით. შინაგან საქმეთა კომისარიატის წარმომადგენელმა ამ განცხადებების საპასუხოდ მიუთითა, რომ სამხრეთ-ოსეთი განადგურებული მხარეა, რომ მისთვის საარსებო საშუალების მიღება არსაიდან არ შეიძლება და ამიტომ საჭიროა მისი მდგომარეობის შესახებ ეცნობოს პროფ. კავშირების ცენტრალურ ორგანოს. საბჭოთა მუშაკების კავშირის სამხრეთ-ოსეთის განყოფილების მოხსენებით, კავშირის მოღვაწეობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. საბჭოთა მუშაკების ცენტრალური სამმართველოს წარმომადგენლის მოხსენების მოსმენის შემდეგ, საოლქო კონფერენცია იწონებს ცენტრალური სამმართველოს მოღვაწეობას, ყურადღება აქცევს ცენტრისა და პროვინციის შორის მჭიდრო კავშირის არსებობის აუცილებლობას, პირადი და წერილობითი ინსტრუქციების საშუალებით და ჰპირდება ცენტრალურ სამმართველოს სრულ მორალურ დახმარებას ამიერ-კავკასიისა და საქართველოს პროფ. კავშირთა ყრილობის მიერ დასახულ მიზნების განხორციელებაში. საბჭოთა მუშაკების კავშირის სამმართველოს სხდომაზე 22 იანვარს პრეზიდიუმში არჩეულია: აბაევი, კაბულოვი და ნიკოლაევი. ვინაიდან სამხრეთ ოსეთი დამწვარი და განადგურებულია მენშევიკურ კონტრრევოლიუციის მიერ, მმართველობამ დაადგინა, რომ ოლქის აღდგენაზე ადგილობრივი ორგანოების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა არ შეიძლება, ასე რომ მათი შენახვა უნდა იკისროს ცენტრმა, რის შესახებ შუამდგომლობა იქნას აღძრული საქართველოს ს. ს. რესპუბ. საბჭოთა მუშაკების კავშირის ყრილობის წინაშე. სამხრეთ ოსეთის პროფ. კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმს და საბჭოთა მუშაკების მმართველობის პრეზიდიუმს დაეევალოს გამონახონ საშუალება საქართველოს ცენტრალურ სამმართველოლან ტანთსაცმელის შესყიდვისათვის.

## სომხეთი

**ერევანი.** 6 **აგვისტო. ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ.** ბოლო ერა მხედველობაში ის გარემოება, რომ სომხეთში დაბრუნებული ლტოლვილები უკვე საბოლოოდ გადმოსახლდენ და აგრეთვე აღარ მოიპოვებ ვება თავისუფალი მიწების რიცხვი და თვით რესპუბლიკაც მძიმე ეკონომიურ პირობებში იმყოფება, სომხეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა ნაადგილევათ მიიჩნია სომხეთში მესოპოტამიიდან, ჩრდილო კავკასიიდან, ბაქოდან, თურქეთიდან და სპარსეთიდან ლტოლვილების მასიური დაბრუნება.

ბრძოლა სიმშილოვანებთან
ნიგოითი
(დეპეშა).
**საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტს, კომპარტიის ცეკას, საქართველოს ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს.**
ნიგოითის თემი სავსებით სიმშილობს, სიკვდილის შემთხვევებიც არის. თემი ჩემი სახით თხოვს მთავრობას საჩქარო დახმარებას სიმინდით. აუცილებელი საჭირო არის სამი ვაგონი. დაბეჯითებით გთხოვთ გასცეთ სასწრაფო განკარგულება გამოიგზავნოს სიმინდი დამოუკიდებლათ ნიგოითში.
**ლადო დუმბაძე**

ცხვრის ხორცი—16.000 მ., კვერცხი—3.000 მან. კარაქი—50.000 მან., რძე—12—15.000 მ., თაფლი—50—60.000 მ. გირ. მომოსვლის საშუალები ბორჯომსა და აბასთუმანს შორის აგრეთვე შედარებით ძალიან ძვირი არ არის. „ცენტრო-ტრანსპორტის“ ავტომობილით მგზავრობა ღირს 400.000 მან. კერძო ეტლით მგზავრობას ბორჯომიდან აბასთუმნამდე სჭირდება 100—200.000 მან. ერთ ადგილში.

## წალენჯიხა.

**საკურორტო ცხოვრება.** საკურორტო სეზონი გაცხოველებულია: მრავალია ჯანმრთელობის სახ. კომისარიატისაგან გამოგზავნილი მოგზარაკე ავადმყოფი და საბავშო ბაღები. სანოვაგის ფასები, მოგზარაკეთა სიმრავლის გამო, თან და თან იზრდება. გირვ. თეთრი პური ღირს 15000 მ. წითელი 10,000, ცხვრის ხორცი—25,000, ძროხისა 20.000, კარაქი—70.000, ქართოფილი—2.500; თაფლი 45,000, ქართული ყველი 25,000, კვერცხი—4,000, ნავთი 2 გირ. 25.000.

**ახალციხის მაზრა.**

**პარტიული ცხოვრება.** საქ. კომპარტიის სამაზრო კომიტეტმა შეიმუშავა ცირკულიარი სოფლებში მუშაობის მეთოდების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ღარიბ ხალხის იაჩეიკების მუშაობაში ჩაბმას და ამ იაჩეიკების ავტორიტეტის აწევას. ცირკულიარის ერთ ერთი მუხლი აღნიშნავს სოფლის ცხოვრების ერთ უარყოფითს მხარეს—როგორიც არის გადასახადების სიმძიმის გადატანა ღარიბ გლეხებზე და მოუწოდებს პარტიულ ძალებს, ყოველგვარი საშუალებით ებრძოლონ ასეთ არანორმალურ მოვლენას.

**აფხაზეთი.**

**საფასური საავადმყოფო დაწესებულებათა სარგებლობისათვის.** სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის კოლეგიამ მიიღო რა მხედველობაში მედიკამენტებზე ფასების გადიდება, დაადგინა—გადაახდევინოს ავადმყოფებს 50,000 მანეთი დღიურათ საავადმყოფოებში მედიკამენტებისათვის, ხოლო ოპერაციებისათვის დაძინების გარე—ერთი მილიონი მანეთი, დაძინებით კი 1,500,000 მან.

**დამზადებათა განყოფილება.** ივნისის განმავლობაში აფხაზეთის სახალხო სასურსათო კომისარიატის დამზადების განყოფილებამ შეკრა მთელი რიგი ხელშეკრულებათა საკვები საგნების მიწოდების შესახებ: 1500 ფუთი ზეთისა, 5000 ფუთი ფქვილისა (გზაზია), 5,000 ფუთი საქონელისა. წინად დადებულ ხელშეკრულების მიხედვით უკვე მიღებულია 1.500 ფუთი საქონელი. საქონელის მიღება მომავალში რეგულიარულათ იწარმოებს, მაგრამ რადგანაც დამზადებათა ადგილობრივ (ყარაჩა და მთიელთა რესპუბლიკა) მოუსლოდნელი დაბრკოლებანი აღმოჩნდენ, მორიგი პარტიის მიღება 1 ივლისისათვის ერთგვარად დაგვიანდა. მიღებული საქონელის რაციონალურად გამოყენებისათვის დამზადებათა განყოფილება აწარმოებს ამ საქონელის ტყავის გაშრობასა და დამარილებას, რომელიც დასჭირდება მას საზღვარ გარეთ სხვადა სხვა პროდუქტებზე გადასაცვლელად. ასევე სწარმოებს ნაწლავების გამოღება საკოლბასო წარმოებისათვის, სწარმოებს ფეხსაცმელების და სანდლების დამზადება. რადგანაც იწყება სეზონი პურის დამზადებისა, აღძრულ იქნა შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რომ მისცეს სახალხო სასურსათო კომისარიატს საჭირო რიცხვი მანუფაქტურისა. შემუშავებულ იქნა ახალი ცხრილი საქონლის გადაცვლისა და დაეგზავნა ინსტრუქციები სამაზრო სასურსათო განყოფილებებს ამ გადაცვლის მოსახდენათ. მიღებულია საქმეები სასურსათო გადასახადის მთავარი ინსპექციისა, მაგრამ ანგარიშები მაზრების მიხედვით ჯერ-ჯეროობით საბოლოოდ არ არის დამზადებული.

**სოხუმის ნავთსადგურში.** 23 ივლისს სოხუმის ნავთსადგურში გაიარა ოდესაში მიმავალ გემმა „პეტ�sელმა“, რომელმაც სოხუმიდან წაიყვანა 53 მგზავრი და წაიღო სხვა და სხვა საქონელი. იმავე დღეს მოგ-და: ფოთიდან თათრული იალქნიანი ფელიუგა 30 ფ. ხმელი თევზით; თათრული მოტორ იალქნიანი გემი „ბერეკეტ“ 400 ფ. მელ. თათრული იალქნიანი

№ 82 — 2 — 1922 — 11 — 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შრომის სკოლა.** სახალხო განათლების კომისარიატის სოციალური აღზრდის დეპარტამენტის განყოფილებამ შეიმუშავა ნორმა შრომის სკოლებისათვის: სკოლა უნდა შედგებოდეს ორ საფეხურიდან 9 წლის კურსით. უკანასკნელ კლასში მოწაფეებს უფლება ეძლევათ ამოირჩიონ ერთ ერთი სპეციალობა—სამრეწველო, ტექნიკური, პედაგოგიური და ჰუმანიტარული სანგების დარგიდან. სკოლის მეორე საფეხურის პროგრამის შედგენის დროს მხედველობაში იქნა მიღებული რესპუბლიკაში არსებული დიდი მოთხოვნილება საშვალო ტექნიკუმებისა, ერთის მხრივ და მოთხოვნილებანი წამოყენებული სომხეთის უნივერსიტეტისა ფაკულტეტებისაგან, მეორეს მხრივ.

**სასურსათო გადასახადი. სომხეთის ყველა მაზრეებიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ სასურსათო გადასახადის კამპანია წარმატებით მიმდინარეობს.**

# ქრონიკა

◆ **გაზ. „ბახტრიონი"—ვაჟას ნომერი.** ოთხშაბათს, 9 აგვისტოს, კვირის ნაცვლად გამოვიდა გაზ. „ბახტრიონის" მორიგი საგანგებო ნომერი ვაჟას შვიდი წლის თავის აღსანიშნავად. გაზეთში მოთავსებულია: ლექსები გრიგოლ რობაქიძის და გიორგი ლეონიძის; წერილები: ტიციან ტაბიძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, არტურ ლეისტის; ვაჟას დაუბეჭდავი ნაწყვეტი, რჩეული ადგილები ვაჟას პროზიდან, ვაჟას სამი ლექსი: სიმღერა, გალაშქრება ლაშარის ჯვარის დროშით, დიდი თამარი; მოგონებანი: შიო მღვიმელისა, ვასილ ბარნოვისა. გაზეთში დაბეჭდილია აგრეთვე სურათები: ვაჟა-ფშაველა და ა. ყაზბეგი, კაჟა ჩაფხუტით და ვაჟას უკანასკნელი პოემის ფაქსიმილე. ნომრის ფასი 10,000. მ. მისამართი: სამხედრო სტამბა.

◆ **მუშა ძალის მოძრაობა.** 8 აგვისტოს განმავლობაში თბილისის შრომის ბირჟაში აღნიშნულია 602 უმუშევარია გამოცხადება, მათ შორის 288 მამაკაცია და 314 ქალი. ხელახლა გატარებულია რეგისტრაციაში 112 უმუშევარი, მათ შორის 56 მამაკაცი და 56 ქალი. მოთხოვნილება მუშა ხელზე შემოვიდა 39, რომელიც სრულებით იქნა დაკმაყოფილებული და გაიგზავნა სამუშაოზე 23 მამაკაცი და 16 ქალი; აღრიცხვიდან მოხსნილი. 177 კაცი, მათ შორის 96 მამაკაცი და 81 ქალი.

◆ **ხოლერის განვითარება.** წილკანში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ-საეპიდემიო განყოფილების კერძო ცნობების მიხედვით შეჩერებულია იქ გაგზავნილ რაზმის დახმარებით. დაავადმყოფების რიცხვი მცირდება. წყლის გასინჯვის დროს ხოლერის ვიბრიონები არ აღმოჩენილა.

◆ **გადამდები ნეიულებანი** რესპუბლიკაში, თბილისის გარდა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ საეპიდემიო განყოფილების ცნობების მიხედვით 1 დან 7 აგვისტომდე ამ რიგად ვითარდებოდა: სულ იყო 31 შემთხვევა, მათ შორის მუცლის სახ. 10 შემთხ., შებრუნებით სახ. 1 შემთხვევა პარატიფიანი სიცხადის—10 შემთხვევა, ხოლერის—12 შემ. და როეის—1 შემთხვევა.

— **პედაგოგიური ტექნიკუმი** სოციალური აღზრდის მთავარი განყოფილება, ვანათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წინადადების გამო, არკვევს პედაგოგიური ტექნიკუმის მოწყობის საკითხს.

— **სათბობი მასალ—ხითხე** მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში, ქალაქის სტატისტიკური განყოფილების ცნობებით, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სათბობ მასალების განყოფილებას მიღებ ა- 706.296 ფუთი და 30 გირ. ნავთის პროდუქტები, მათ შორის მაზუთი—393.134 ფ, მსუბუქი ნავთი—116.796 ფუთი, დაწმენდილი ნავთი—163.030 ფ., მანქანის ზეთი—15824 ფ 30 ფ. და ბენზინი—17512 ფუთი.

◆ **ეურნალისტების ცეხი.** ეურნალისტების ცეხის დროებითი ბიურო სთხოვს ცეხის ყველა ამხანაგს—წევრებს შემოიტანონ ხვედრი საპროცენტო გადასახადი 1 ივლისამდე.

ვინც არ წარმოადგენს ამ გადასახადს ჩაითვლება ცეხიდან და კავშირიდან გასულად. მოვაგონებთ რა ამას დროებითი ბიურო სთხოვს ამხანაგებს დააჩქარონ საპროცენტო გადასახადის შემოტანა კავშირის კასაში (მუშათა სასახლე, მესამე სართული № 35). ის ამხანაგები, რომელნიც 1 ივლისამდე არ შემოიტანენ ხვედრ გადასახადს, დაჰკარგავენ 20 აგვისტოს მოწვეულ ცეხის წევრთა საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლებას.

◆ **რკინის გზის არტელი.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ რკინის გზის არტელ „მშრომელთა კომუნა"-ში, ამ უკანასკნელ ხანებში სხვადასხვა კუთხიდან მოდიან ურიცხვი მუშები და მოითხოვენ არტელში დადგომას, რომ ადგილის მაძიებელი ამხ. მუშები შეცდომაში არ შევიდნენ და უბრალოთ ხარჯები არ გაწიონ, ამისათვის მოუწოდებთ როგორც ქალაქი, ისე პროვინციის მუშებს, რომ რკინის გზის არტელ „მშრომელთა კომუნა"-ში, შტატის სიმრავლის და მუშაობის შემცირების გამო, მუშების მიღება შეწყვეტილია და მასთან, საჭიროების დროს არტელში მუშების მიღება შრომის კომისარიატის მიერ დამტკიცებული წესდების ძალით, 1-ლი აგვისტოდან გადავიდა შრომის კომისარიატის განკარგულებაში, შრომის ბირჟის საშუალებით.

◆ **გზების შესანახი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება.** სახალხო კომისართა საბჭოს წინანდელ დადგენილების თანახმად სახ. მეურ. უმსაბ. საგზაო აღმშენებლობამ წარადგინა დასამტკიცებლად ორი ხარჯთაღრიცხვა თბილის-კოჯორის გზატკეცილის შეკეთებისა და შენახვისათვის, რომელიც 1922 წ. ბოლომდე ქალაქის კომუნალურ აღმშენებლობის საგზაო განყოფილების განკარგულებაში იმყოფება. სახ. კომისართა საბჭომ განიხილა რა ეს ხარჯთაღრიცხვები დაადგინა: თბილის-კოჯორის გზატკეცილის შეკეთებისა და შესანახად საჭირო მუშაობისათვის ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნეს 800.000.000 მ., რაოდენობისა. დაევალოს ფინანსთა სახ. კომისარიატს გაუხსნას სათანადო კრედიტი ქალაქის კომუნალურ აღმშენებლობას და მისცეს ამ თანხის ანგარიშიდან ორი კვირის განმავლობაში 300.000.000 მან. აგრეთვე წინადადება მიეცეს საგზაო აღმშენებლობას დაუყოვნებლივ შეუდგეს მუშაობას ხსენებული გზატკეცილის შეკეთებისათვის, ასე რომ თბილისიდან პირველი ხუთი ვერსის შეკეთება დაამთავროს ორი კვირის განმავლობაში. მეორე ხარჯთაღრიცხვა გადაეცა განსახილველად და დასკვნისათვის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საუწყებათაშორისო საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვის სათათბიროს.

◆ **თბილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოება.** თბილისია ყოფილ საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობის შუამდგომლობით სახ. კომისარიატ საბჭომ დაადგინა უფლება მიეცეს ხსენებულ საზოგადოებას განახლოს მოქმედება საქ. ს. ს. რ. სახალხო ბანკის უშუალო კონტროლის ქვეშ, სახ. კომისარიატა საბჭოს მიერ წესდების დამტკიცების შემდეგ.

◆ **დადგენილებანი.** საქართველოს ს. ს. რესპ. სახ. კომისარიატა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მიღებულია დადგენილება საკანცელარიო ბეჭის გადიდების შესახებ, ადგილობრივ აღმასკომების შემოსავალის და გასავალის დებულების ზოგიერთი პარაგრაფის შეცვლისა და წითელ არმიაში გაწვეულ კომუნისტებისა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ.

◆ **უბედური შემთხვევა.** 6 აგვისტოს საღამოს 8 საათზე მანგლისიდან კოჯორში ავტომობილით მიმავალ ცელკე-კავკასიის არმიის სარდალ ამხ. ეგოროვს უბედური შემთხვევა მოუვიდა. არმიის სარდალი ამხ. ეგოროვი ბრუნდებოდა კოჯორში, ავტომობილში ისხდნენ აგრეთვე № მსროლელი პოლკის უფროსი და № სასწავლო მწყობრი პოლკის უფროსი ამხ. მოდლინი თავისი ცოლით. დაახლოებით 5 ვერსზე კოჯორიდან ავტომობილის ბორბალი გატყდა. ავტომობილში მსხდომნი გადმოვარდენ ამ უეცარი შემთხვევის გამო. ამხ. მოდლინი დაეცემის დროს სასიკვდილოდ დაიმტვრა, ხოლო დანარჩენები კი უფრო ადვილად გადარჩენ. დაზიანებულნი წაიყვანეს დანიშნულების ადგილს შემთხვევით გავლილმა ავტომობილებმა. ამხ. მოდლინის გვამი ჩამოასვენეს თბილისში.

◆ **მატარებლის დამხვრევა.** 6 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, სამგზავრო მატარებელი № 3, სუმბათოვიდან ბორჯომისაკენ მ.მავალი დაიმსხვრა მე-25 ვერსზე. ორთქლმავალი და 12 დატვირთული ვაგონი გადაცურდა ლიანდაგს. ლიანდაგი 120 საჟენზე არის გაფუჭებული. მოძრაობა განახლდა 7 აგვისტოს საღამოს 6 საათზე.

მატარებლის დამხვრევის მიზეზი იყო ლიანდაგის გაფართოვება.

— **შუამდგომლობანი.** საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა, ერთიან სამხედრო კოოპერატივის სასამართლოს ბაჟები სა და გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ, გადაეცა დასკვნისათვის საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ კოოპერაციის საქმეთა სამმართველოს.

◆ **შუამდგომლობა** განათლების სახალხო კომისარიატისა, ხელოვნების მოღვაწეების და მუშაკების კომუნალურ სამსახურის ჯამაგირის მხრით საბჭოთა მოსამსახურეებთან გათანასწორების შესახებ გადაეცა დასკვნისათვის უმაღლეს სატარიფო საბჭოს და საზოგადოება „ჩემო"-ს შუამდგომლობა წესდების § 15 (ნატურალური ფონდის შესახებ) გაუქმების შესახებ, გადაეცა მთავრობის წარმომადგენელს საზოგადოება „ჩემო"-ში დასკვნისათვის.

◆ **მცხოვრებთა საყურადღებოთ:** 11—20 აგვისტომდე არსენალის რაიონში ყოველ დღე იქნება სროლა ტყვიისმფრქვეველებიდან.

◆ **ქართული კონცერტი.** პარასკევს 11 აგვისტოს ყოფილ ქართულ კლუბში გაიმართება დიდი ქართული კონცერტი კომპოზიტორთა მ. ბალანჩივაძის და კ. ფოცხვერაშვილის ნაწარმოებთაგან. მონაწილეობენ საუკეთესო მომღერალნი, აკადემიური გუნდი, მესაყვარეთა ორკესტრი, ბალეტი და სხვ ნი. ამ კონცერტზე პირველად შესრულდება უვერტიურა და ბალეტი ოპ. „თამარ ცბიერიდგან", სიმფონიური პოემა „ამირანი" და სხვანი.

ილოტბარებენ ორივე კომპოზიტორები.

— მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული საადგილ მამულო კომისია მიემგზავრება ა. წ. 10 აგვისტოს ქ. ონში სეზიად, სადაც იგი გაარჩევს 14-16 აგვისტოს სააპელაციო საჩივრებს რაჭის მაზრის განსაკუთრებულ კომისიის დადგენილებებზედ.

◆ **ბავშვების მიღება საბავშო ბაღებში.** ტფილისის ყველა საბავშო ბაღებში ბავშვების მიღება მხოლოდ 15-25 აგვისტომდე. ამ ხნის განმავლობაში მიიღება ეხოლოდ პროფესიონალურ კავშირთა წევრების შვილები. ხოლო აგვისტოს 25 დან 1 სეპტემბრამდე, თუ ადგილი იქნა, პირველ რიგში მიიღება ისევ პროფკავშირთა წევრების შვილები და შემდეგ დანარჩენ მოქალაქეთა შვილები.

◆ **აბრეშუმის ძაფების გატანა.** სახალხო კომისართა საბჭომ დაკმაყოფილა სასურსათო სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა, რათა მიეცეს მას საზღვარგარეთ 300 ფუთი აბრეშუმის ძაფის გატანის უფლება.

## დღეს თეატრებში.

რუსთაველის თეატრი—გრანდიოზული სურათი „ჯუნგლის საიდუმლოება" (2—1 სერია). ქართული კლუბის თეატრი—საღამო-სეირნობა. სიყვარულის გარშემო ვ. პეტიპას გასტროლი. საზაფხულო თეატრი „არტო"—კონცერტი, კაბარე. თეატრი „წრე"—კონცერტი-კაბარე. სამხედრო კლუბის თეატრი—წარმოდგენა-სეირნობა. მუშათა ცენტრ. კლუბი—წარმოდგენა. ც. მ. კლუბის ახალი თეატრი—კინო. თავისუფალი თეატრი—ნიღაბების თეატრის პროგრამების მეორე ციკლი. თეატრი „ამირანი"—კონცერტი-კაბარე. პროფკავშირთა საბჭოს კლუბი—კონცერტი.

## სახალხო კომისართა საბჭოში.

**ცხენის მოსაშენებელი სახელმწიფო ქარხანა.** საქართველოს ცხენას მოსაშენებელ სახელმწიფო ქარხნის სამმართველოს შუამდგომლობით სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გადასცენ მის განკარგულებაში დიდებული საჯარითო იპოდრომი, რისთვისაც წინადადება მიეცა სათანადო ორგანოებს სასწრაფოდ აღებულ იქნეს ყველა დროებითი შენობები, რომლებიც მოიპოვებიან იპოდრომზე. იპოდრომის მოსაწყობად სამმართველოს გაეხსნა კრედიტი 250 მილიონ მანეთის რაოდენობის. ამას გარდა დაადგინეს მიეცეს ცხენის მოსაშენებელ სახელმწიფო ქარხნის სამმართველოს განსაკუთრებული უფლება ხშირად გამართოს ცხენების საჭირო შეჯიბრება და გადარიცხოს განსაზღვრული პროცენტები თავის საშუალებების გასაძლიერებლად.

## სახ. სახ. კომისარიატში.

**ხელხი სასურსათო სახალხო კომისარიატს.** სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა წინადადება მიეცეს სახალხო ბანკს, რათა უკანასკნელმა მისცეს სასურსათო სახალხო კომისარიატს სესხი 3.000.000.000 მანეთის რაოდენობით, მიმდინარე წლის განმავლობაში მატყლის შესასყიდათ და გასანაღდებლად სახელმწიფო მონოპოლიის შემოღებისათვის.

**თელავის მაზრის დაკეტვა.** სახალხო სასურსათო კომისარიატის დადგენილებით თელავის მაზრიდან სურსათის გამოტანა აიკრძალა იმ დრომდე, ვიდრე ამ მაზრაში სრულიად არ იქნება აკრეფული სასურსათო გადასახადი. ამ ჟამად საქართველოში სულ ოთხი მაზრა არის დაკეტილი: თელავისა, სიღნაღისა, გორისა და ახალციხისა.

# ზრომის გაზარი

(იანვარი—ივნისი)

**შრომის ბაზრის მოწესრიგება.** შრომის სახ. კომისარიატის შრომის ბაზრის მოღვაწეობა წლის პირველ ნახევარში ხასიათდება მუშაობის მეთოდების შეცვლაში. ცხოვრებაში ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრინციპების გატარების გამო. მუშაძალის იძულებითი გაყვანის პრინციპის უარყოფის გამო, განყოფილება თავისუფალია დაქირავების თვალსაზრისზე. კერძო ინიციატივის ნებადართვამ, შრომის ნაყოფიერების გაძლიერებამ და სხვა მიზეზებმა წარმოშვეს შრომის კანონების დარღვევა და შეუწყვეს ხელი უმუშევართა რიცხვის გაზრდას. ეს მოვლენა მოითხოვდა შრომის ბირჟის მოწესრიგების აუცილებლობას, რისთვისაც განყოფილებამ მიიღო შემდეგი ღონისძიებანი:

**უმუშევართა რეგისტრაცია** რესპუბლიკის ფარგლებში იანვარში სულ უმუშევართა რიცხვი აღმოჩნდა 3645 კაცი, ტფილისში იყო 1450 კ. და დანარჩენ ადგილებში 2105 კაცი.

**შტატის შემცირებაში მოყოლილ უმუშევართა აღრიცხვა,** მოხდა იგი იმ მიზნით, რათა გამორკვეული ყოფილიყო ამ ფაქტების გავლენა უმუშევრობაზე. შტატების შემცირებაში მოყოლილთა დიდი რიცხვი არ გამოცხადდა შრომის ბირჟაში და ამ გვარად ვერ იქნა აღრიცხული.

**უმუშევართა ხელახალი რეგისტრაცია.** მოხდა მაისში იმის გამო, რომ იანვრიდან მაისამდე უმუშევართა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მოთხოვნილებასა და მუშა ხელის რაოდენობის შორის დიდი განსხვავება იყო, რისთვისაც საჭირო იყო გაწმენდის წარმოება, რათა განთავისუფლებული ყოფილიყო ბირჟა არასასურველ ელემენტებისაგან. შედეგები ტფილისში მომხდარ ხელახალი რეგისტრაციისა შემდეგია:

| | |
|---|---|
| გამოცხად. რეგისტრაც. | —5383 კ. |
| შეღავათით სარგებლობის უფლება მიეცა | —1691 „ |
| შეღავათის უფლება არ მიეცა | — 996 „ |
| ადრიცხვიდან მოიხსნა | —2696 „ |

საქართველოს დანარჩენ ქალაქებიდან ცნობები ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

**ექსპერტთა კომისიის** შედგენა გამოწვეული იყო ერთი მთლიანი ორგანოს დაარსების აუცილებლობით, რომელსაც მრეწველობისათვის უნდა მოეწოდებია მუშა-ძალა. ამისათვის საჭირო იყო ძალიან ფრთხილად მოპყრობა. საჭირო იყო სასტიკი თვალყურის დევნება სამუშაოზე გაგზავნილ მუშაობის კვალიფიკაციისათვის და ამით, შრომის ბირჟის ავტორიტეტის აწევასთან ერთად მრეწველობას არ მისდგომოდა ზიანი. ექსპერტთა კომისიამ თებერვალში დაიწყო მუშაობა და საანგარიშო პერიოდში მისი მოღვაწეობა გამოიხატა შემდეგში:

| | |
|---|---|
| გამოცდა დაენიშნა | — 4363 უმუშევ. |
| ჩაბარა გამოცდა | — 1891 „ |
| ვერ ჩაბარა გამოც. | — 370 „ |
| არ გამოცხადდა გამოცდაზე | — 1974 „ |
| მიზეზების გამო გამოცდა გადაედოთ სხვა და სხვა | — 128 „ |

**საკონტროლო აპარატის მუშაობა.** შტატის შემცირებასთან დაკავშირებულმა მუშა ხელზე მოთხოვნილების დაკლებამ და უმუშევრობის ზრდამ დაჰბადა მუშა-მოსამსახურეთა მიღებისა და დათხოვნის დროს ბევრი ბოროტმოქმედებანი. რომ აღმოფხვრილიყო ეს ბოროტმოქმედება იანვარში დაარსებულ იქნა საკონტროლო აპარატი, რომელიც აწარმოებდა წარმოება დაწესებულებებში გამომძიებას და სამუშაოს ართმევდა შრომის ბირჟის გარეშე მიღებულ პირებს. 6 თვის განმავლობაში საკონტროლო აპპარატმა სამუშაოდან დათხოვა 578 კ. და მათ ადგილზე ჩააყენა 500 კ.

**უმუშევრობასთან ბრძოლა და მისგან დაზღვევა.** უმუშევრობასთან საბრძოლველად მიღებულია შემდეგი ღონისძიებანი: უმუშევართა დაზღვევა, შრომის არტელების მოწყობა, უმუშევართა თავის სასადილოებისა და საჩაიეს დაარსება, საზოგადოებრივი სამუშაოების მოწყობა და სხვ. ამ გზით განყოფილება აწარმოებდა მუშაობას.

**უმუშევართა დაზღვევა.** საქართველოში მიღებული იყო როგორც დაზღვევის განსაკუთრებული სახე და ამიტომ ეს არ შედგენილა დამზღვევ კასის მოვალეობას; ის დაკისრებული ჰქონდა შრომის ბაზრის განყოფ. მხოლოდ უკანასკნელ დროს შეესაძლებელი გახდა მთელ საქართველოში დაზღვეულთა რაოდენობის გამორკვევა —1000 კაცი, რომელთაგან თბილისში 750 კ. ყოველი კავშირისათვის, უმუშევართა რაოდენობის მიხედვით, სწორედ იყო განსაზღვრული დასაზღვევთა რაოდენობა. ფული კი ეძლეოდათ შრომის ბირჟასთან არსებულ დაზღვევის სექციიდან. ფულის დარიგება ყოველთვის ფერხდებოდა საშუალების უქონლობის გამო და ამიტომ მხოლოდ ივლისში თავდება მარტის ფულის დარიგება. გაცემულია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. (იანვარი—მარტის დაზღვევა).

| | |
|---|---|
| გემო-კვების კავშირს | 145 მილ. |
| „ საბჭ. მუშაკებს | 166 „ |
| სხვა კავშირებს | 115 „ |
| სულ | 426 მილ. |

# მუშათა ცხოვრება

## ზედმეტ სამუშაოს შესახებ.

(გაგრძელება)

**კითხვა:** რამდენი საათი შეიძლება დაშვებული იქნას დღეში ზედმეტი სამუშაო?

**პასუხი:** ერთ დღე და ღამეში ზედმეტი სამუშაოს ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. (როგორც წინეთ ვთქვი ზედმეტი სამუშაო დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში).

**კითხვა:** ზედმეტ მუშაობისათვის არის დაწესებული ცალკე გასამრჯელო, თუ ის უფასოთ უნდა იქნეს წარმოებული?

**პასუხი:** ყოველივე საათი ზედმეტი მუშაობისა უნდა დაჯილდოვდეს, დღიური საათები ერთ ნახევარჯერ მეტათ ვიდრე ჩვეულებრივი საათები, ღამის და უქმე დღეების საათები კი ორმაგად.

**კითხვა:** როცა მუშა თავის ნებით ასრულებს ზედმეტ სამუშაოს და ამისათვის სათანადო წინადადება არ მიუღია ადმინისტრაციისათვის, ერგება თუ არა მას გასამრჯელო?

**პასუხი:** გასამრჯელო მიეცემა მხოლოდ იმ ზედმეტ სამუშაოსათვის, რომელიც სრულდება ადმინისტრაციის წინადადებით, თავის ნებით ნაწარმოებ ზედმეტ მუშაობაში ხელფასი არ მიეცემა.

**კითხვა:** რატომ არის ეს ასე, თუ მუშამ იმუშავა, განურჩევლათ იმისა ნებართვა მიიღო თუ არა, მას უნდა მიეცეს გასამრჯელო.

**პასუხი:** ეს ერთი ზომათაგანია, რომ ზედმეტი სამუშაო რეგულიარულად არ წარმოვიდეს, გარდა კანონში ნაჩვენებ განსაკუთრებულ შემთხვევენისა. ამის დარღვევისათვის პასუხს აგებს არა მუშა-მოსამსახურე არა მედ ადმინისტრაცია.

**კითხვა:** ვინც ნაჭრობით მუშაობს, რა წესით დაჯილდოვდება მათი ზედმეტი მუშაობა.

**პასუხი:** ვინც ნაჭრობით მუშაობს, ზედმეტ სამუშაოსათვის გასამრჯელო მიეცემათ ერთნახევარჯერ მეტი ვიდრე ჩვეულებრივი; ღამის და უქმე დღეებში ორმაგი რაოდენობა. თუ მუშამ იცის ნაჭრობით სამუშაოს დაწყების წინ, რომ სამუშაო უნდა სრულდებოდეს აგრეთვე ზედმეტი საათებში, — არავითარი დამატება ჩვეულებრივ ფასის ზევით არ დაიშვება.

**კითხვა:** ყველა მუშა-აოსამსახურე დაიშვება ზედმეტ მუშაობაზე თუ არა?

**პასუხი:** ზედმეტ—სამუშაოზე არ დაიშვებიან ბავშვები 16 წლამდე, ორსული და ძუძუ მაწოვარი ქალები.

ხ. გ.

## ვერგლიანცის საფეიქრო სახელოსნო

ჩვენი სახელოსნოს ხაზეინი სრულებით არ აქცევს ყურადღებას შრომის დაცვის კანონებს. არც იმაზე ზრუნავს რომ სახელოსნო ტექნიკურ—სანიტარულ მდგომარეობის მხრივ სათანადო სიმაღლეზე იდგეს. თუმცა ამის შესახებ არსებობს განსაზღვრული კანონები მაგრამ მას ვერგლიანცი გვერდს უვლის. ხაზეინის ასეთი თავხედობის წყალობით ჩვენ გვიხდება მეტად ძძიმე პირობებში მუშაობა. მუშათა საცხოვრებელი ბინები მეტად მოუწყობელი და გაუჭუჭყიანებულია. კედლებს სპირია შეთეთრება. ზოგიერთ განყოფილებაში ძალიან ბნელა. სპირია ფანჯრების გაკეთება. საჭიროა ყოველივე ამას ყურადღება მიექცეოდეს.

გ.—ლი.

## ტვირთმზიდველი მუშაები

შესდგა საქართველოს რკინის გზის ხაზებზე ტვირთმზიდველ მუშათა არტელი. არტელი აერთიანებს 1200 მუშას. არტელი მუშაობა დაყოფილია 4 რაიონათ. თვითეულ რაიონში მუშაობას ხელმძღვანელობს ერთი პასუხისმგებელი წარმომადგენელი.

არტელის მიზანია მუშაობაში ერთი მთლიანი გეგმის განხორციელება. მუშაობის პირობები და გასამრჯელო ერთ ადგილს ერთნაირი არ უნდა იყვეს და მეორე ადგილას მეორენაირი. აგრეთვე შენიშნულია ზოგიერთ ადგილას მტვირთავ მუშათა სიმრავლე. ამ გარემოებამ შეიძლება შრომის ხელფასის დაცემაზე იმოქმედოს. არტელი ენერგიულ ბრძოლას გაუწევს ასეთ ტენდენციას.

არტელის დაარსება იმ მხრივადაც იყო საჭირო, რომ ბოლო მოღებოდა მრავალ ბოროტმოქმედებას როგორიცაა ცარცვა, საქონლის მოპარვა ვაგონების გატეხა და სხვა.

არტელის გამგეობის ყურადღებას მივაქცევთ მეტი ანგარიში გაუწიოს შრომის კანონებს და ეს კანონები თავიანთ მიმართ განახორციელონ.

მ.—თავი.

## პოლიგრაფიულ განყოფილების მე-5 სტამბა.

შრომის ინსპექტორის გაფრთხილებამ უკვე თავისი ნაყოფი გამოიღო. სტამბაში დასდგეს ჰაერის გასაწმენდი ვენტელიატორი.

სტამბის მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომი კულტგანათლების დარგში ენერგიულათ მუშაობს. სტამბაში კულტგანათლების საქმისათვის დადგმული ეროი შკაფი, სადაც ინახება წიგნები და გაზეთები. ადგილკომი ღებულობს ყველა ადგილობრივ გაზეთს, რითაც სათანადოთ სარგებლობენ მუშა-მოსამსახურენი.

გაზეთით და წიგნებით სარგებლობის წესი ასეთია: მუშა-მოსამსახურე, რომელიც წაიღებს გაზეთს თუ წიგნს, იქვე ჩაწერს ამას განსაკუთრებულ ქაღალდში, წავიღე ეს და ესო. საჯაროა ამ მაგალითს სხვა წარმოება დაწესებულებებაც მიბაძავ დეს.

ბ.—ლი.

## მეტი ყურადღებაა საჭირო.

ყელგან როგორც კერძო, ისე სახელმწიფო და საკოოპერაციო წარმოებებში შენიშნულია შრომის კანონების დარღვევა იმ მხრივ, რომ არსად არ სდგას პირსაბანი, არაა პირსახოცი, საპონი. ჩვენ გაზეთში ამ მხრივ მთელი რიგი კორესპონდენციები დაიბეჭდა. მუშები სჩივიან ამ კანონზე გადახვევას.

ამ კანონის შესრულებას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საქმე იმაშია, რომ დღეს დიდი საფრთხე და შიშია გადამდებ სნეულებათა გავრცელებისა. გადამდებ სნეულებასთან ბრძოლაში მთავარია სისუფთავე.

ზოგიერთ წარმოებაში მუშა მუშაობის პროცესში ისვრება, ბუბყიანდება. ეს ხდება ნამეტურ მექანიკურ ქარხნებში, ელექტრონის სადგურებში და სხვ. აქ მუშა ხშირათ გასვრილი ხელებით იძულებულია სჭამოს საჭმელი შესვენების დროს.

უეჭველად საჭიროა, რომ შრომის სახალხო კომისარიატმა სასტიკათ მოსთხოვოს ყველას, რათა იქონიონ პირსაბანი, საპონი და პირსახოცი. ამ სიცხეებსა და ეპიდემიის სეზონში ამაზე ზრუნვა აუცილებელ საქმეთ უნდა გავიხადოთ.

ე—ხი.

## სოხუმი.

შრომის დაცვის კანონები აქ ვერ არის სავსებით დაცული. ნამეტურ ეს ითქმის სახალხო გამოკვების წარმოებაში. სასადილოებში ყველგან მუშაობა ერთ წყებათ სწარმოებს. მუშები მუშაობენ არა 8 საათს, არამედ 10—14—15 საათს. ამ მხრივ კანონის დარღვევას თითქმის საყოველთაო ხასიათი აქვს მიღებული.

სახალხო გამოკვების კავშირმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას. შეუძლებელია შეწყნარებულ და დაშვებულ იქნას შრომის ასეთი ექსპლოატაცია. ამ შემთხვევაში კანონის დამრღვევი ხაზეინები უნდა გაფრთხილებულ იქნან და თუ თავისასს არ მოიშლიან სასტიკადაც დაისაჯონ.

საერთოდ უნდა ითქვას სასადილოს მუშა-მოსამსახურეებს შორის ძალიან სუსტი საკავშირო მუშაობა სწარმოებს. ამ მხრივადაც უნდა იქნას ენერგიული ღონისძიებანი მიღებული საკავშირო მასის საკავშირო მუშაობაში ჩასამბელათ. სახალხო გამოკვების კავშირის კულტგანყოფილების განყოფილებას მართებს მეტი ენერგიისა და ფხის გამოჩენა.

ხოხუმელი.

# სოციალური დაზღვევა

(პროცენტების გადარიცხვის ახალი განაკვეთების შემოღების შესახებ)

(ცენტრალური დამზღვევი კასის სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. იაშვილის საუბრიდან)

(დასასრული).

ხარჯების ასეთ განაკვეთების დროს უმუშევრობის და ინვალიდობის უზრუნველსაყოფად შეიძლება გაღებულ იქნეს ცენტრალური დამზღვევი კასის მთელ ბიუჯეტიდან ერთი მეექვსედი ანუ 16,7 პროც., ხოლო სამკურნალო დახმარებისა და დროებით უნარ მოკლებულობისათვის ერთი მესამედი ანუ 33,3 პროც. უფრო მიზან შეწონილი იქნებოდა ცენტრალურ დამზღვევ კასაში დაგვეტოვებია კრედიტების გადატანის უფლება, რაც ცოტაოდენი კორექტივი იქნებოდა ხარჯების მოწესრიგების საქმეში.

იმის გამო, რომ მუშა-მოსამსახურეების საერთო დაავადმყოფება, ავადმყოფება, ავადმყოფობის ხანგრძლივობა, შესაძლებლობა და სიკვდილიანობის კოეფიციენტი არ არის ერთნაირი ყველა დაწესებულებებში და წარმოებებში და იცვლება შრომის პირობებისა და მდგომარეობის მიხედვით, რაც ასეთივე გავლენას ახდენს სამკურნალო და ფულით დახმარების რაოდენობაზე, სამართლიანი იქნებოდა დაგვეწესებია სოციალურ უზრუნველყოფისათვის გადასახადის განაკვეთი იმის მიხედვით, თუ როგორი მავნებლობა აქვს შრომისათვის ამა თუ იმ დაწესებულებას, წარმოებას ან მეურნეობას. არსებულ ცნობების მიხედვით ყველა დაწესებულებები და წარმოებები შეიძლება გავყოთ 4 კატეგორიებად და დავაწესოთ გადარიცხვის განაკვეთი 10—11—12—13 და 14 პროცენტების სახით.

რაც შეეხება გადასახადის შემოსავალის ჯამს, არსებულ 10 პროცენტის გადარიცხვის განაკვეთის დროს უნდა მივიღოთ:

თბილისში: თუ ვიანგარიშებთ 39,743 მუშა-მოსამსახურეზე 2,800,000 მან. საშუალო სამუშაო ქირას მივიღებთ 11,128 მილ. მანეთს, ხოლო 2 თვის განმავლობაში 22,256 მილ. მანეთს. პროვინციებში 36,767 მუშა-მოსამსახურეზე, თუ ვიანგარიშებთ 2,400 ათას საშუალო სამუშაო ქირას მივიღებთ 8,821 მილ. მანეთს.

ფაქტიურად თბილისში 2 თვის განმავლობაში მივიღეთ 2,701 მილ., მან., ესე იგი 12 პროცენტი იმისა რასაც მოველოდით, ანუ 1,2 პროცენტი სამუშაო ქირის ჯამიდან.

ცნობები პროვინციებიდან ამის შესახებ არ მოიპოვება.

# საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

**თბილისის ბაზარი.**

**7 აგვისტო.**

განწყობილება მოდუნებულია, მსხვილი ხელშეკრულებანი არ იღება, ვინაიდან ფასები ეცემა. მანუფაქტურას: ნარმას და მადიპალამს საკმაოდ მოთხოვნილება აქვს.

ამერიკულ ფქვილზე ფასი ცოტათი დაიწია ადგილობრივ ფქვილზე ფასი დაეცა. ფასი ეცემა ხორბალზე და ქერზე, დაიწია ფასმა შაქარზე. ეცემა ფასები ნარმასა და მადიპალამზე. დანარჩენ მანუფაკტურაზე ფასი არ შეცვლილა. საპონზე ფასი მტკიცეა.

# პარტიული ცხოვრება

### სამტრედია.

პარასკევს 28 ივლისს მოხდა კრება სამტრედიის უბნებში არსებულ კომუჯრედებისა. კრებას ბევრი ამხანაგი დაესწრო. თავმჯდომარედ აირჩიეს ამხ. ჯანაშია, მდივნ. ის. ბოხუა. დღიური წესრიგი:

1) ორგანიზაციული წყობა ჩვენი პარტიისა, 2) კ. პ. თანამგრძ. გაწევნდის შესახებ, 3) კოოპერაციის შესახებ, 4) ვარჯიშობის შესახებ. პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ა. კეკელიამ, რომელმაც გააცნო კრებას პარტკონფერენციის დადგენილებანი ამ საფეროში. მოხსენება შინაარსიანი იყო და ცოცხალ ხნის აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ მიღებ ცნობათ. თანამგრძნობთა გაწევნდაზე ილაპარაკა ამხ. ილ. სტურუამ, რომელმაც გააცნო კრებას, რომ 29 ივლისისათვის დანიშნულია გაწევნდა და საჭიროა ყველა ძველმა ამხანაგმა ენერგიული მონაწილეობა მიიღოს მასში.

საბჭოთა ვარჯიშობაზე მოხსენება გააკეთა ილ. სტურუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს ვარჯიშობა ძალიან შესუსტებულია და საჭიროა, რომ აწი მაინც ყველამ იაროს მაკადინებლობაზეო... ესეც მიიღეს ცნობათ. აგრეთვე კრებამ ჩო სმინა ინფორმაცია კოოპერაციის შესახებ. კრება დაიშალა ინტერნაციონალის სიმღერით.

ხან კანი.

# პროვინციაში

### ძ. ბორი.

6 ივლისს ბაზრობა საშუალო იყო. სოფლათ ჯერ მოცლა არა აქვს ხალხს. მოდგან მზრდელთ ძრიელ გაჭირვებულნი. ფასი ხორბალი პურისა მტკიცეთ დგება: 130 ათასი, 140 ათასი და 150 ათასი ფუთი, ღირსების დაკვალობაზედ. აგრეთვე ქერი 70 ათასი, 80 ათასი და 60 ათასი. სიმინდი სრულიად არა სჩანს, ან ჯერ საიდან იქნება, ძველი სულ შეჭამა, ახალი ენკენისთვემდე არ შემოვა. ბლომათ შემოვიდა ეენახის ლობიო, ახალი, მარცვლათ. თუთმა 160 ათასამდინ დაიწია: ლობიოსი ყველგან კარგი მოსავალი სჩანს, გამხმარი კარგი ნაორი 20 ათას მანეთამდე ჩამოვიდა. ხახვი გამხმარი კარგი 80 ათასამდე ფუთი, ვაშლი და მსხალი 60—70 ათასამდე ფუთი. ყველმა აიწია ძრიელ: ფუთი ავიდა 800 000 მანეთამდე, ერბო 1 800 000 მანეთამდე ფუთი. კვერცხი ასი 280 000 მანეთი. მარტ აპრილის ვარია წყვილი 30—40 ათასი მანეთი.

ნელ ნელა შენდება ბორი. ასაშენებელი მასალა ძრიერ ძვირია ბორში და ეს გარემობა ხელს უშლის როგორც ქალაქს, აგრეთვე მის ახლო მაზლო დაქცეულ-დანგრეულ სოფლებს. ზოგჯერ ძვირის ძველ დამპალ ხის მასალას ყიდულობს გლეხ-კაცობა ბორში ძვირათ, რათა ცოტადი მაინც შეაკეთოს თავისი საბერო შენობები. ასი ფოა ყველი მაგალითად ღირს 250—300 ათასი მანეთამდე, და ამის დაკვალათ ყველაფერი ძვირათაა. კარგი იქნებოდა აქ გამართვა სახელმწიფო სატყეო საწყობისა, რომ ხელი შეეწყოს სოფლის აღმშენებლობას და მასთან მეურნეობას. ისე ძნელია აქ ხის მასალის შოვნა ხოლმე, რომ ხანდახან მეფეოკრებსაც ვერ უშოვია მასალა სკების გასაკეთებლათ.

ვასო ბიბილაშვილი.

### დუშეთი

1922 წელს 26 ივლისს გაიხსნა თათბირი დუშეთის სამაზრო რაიონების მილიციის უფროსების, თათბირს ესწრება რა მილიციის უფროსები უკლებლად: დაესწრო თათბირს დუშეთის სამაზრო პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ხოხუა, მაზრის აღმასრულებელი კომ ტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. ლაფანაშვილი და სხვა პასუხის მგებელი ამხანაგები. თათბირს ხსნის მისალმებითი სიტყვით სამაზრო მილიციის პოლიტიკური კომისარი ამხ. ვ. ა. ჭერლუ ლია, მდივნობს ამხ. ვ. მეჩვრიშვილი. დღიური წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი, 2) რაიონში მუშაობის შესახებ, 3) სასურსათო და სახელმწიფო გადასახადის შესახებ, 4) მოხსენება ადგილებიდან, 5) სხვა და სხვა.

აღნიშნულ საკითხებზე ლაპარაკობენ ამხ. ლაფანაშვილი, და სხვები. ადგილებიდან როგორც წერილობითი ისე სიტყვიერი მოხსენებები თითქმის ყველამ შემოიტანა. თათბირმა საჭიროდ სცნო მაზრის მუშურ გლეხური მილიციის მუშაობის უფრო გაძლიერება, კერძოდ ბანდიტიზმთან ბრძოლაში, სასურსათო გადასახადის აკრეფაში და სხვ.

ჰურლულია.

### ქვალონის თემი.

(ზუგდიდს მაზრა)

ეს სოფელი მდებარეობს სინაქიდან 7 ვერსზე, ხოლო ზუგდიდან 35 ვერსტის დაშორებით. სინაქ-ზუგდიდ შუა მიდის მშვენიერი შოსე. აგრეთვე მიდის ეგრეთ წოდებული, შავი ზოვის რკინის გზა. ეს გზები შუა ჩვენ სოფელში გადიან. მიუხედავად ამისა, ჩვენი თემი მოწყვეტილია ზუგდიდის მაზრას, ეს მდგომარეობა არა ნორმალურია და მას უნდა მიეცეს ჯეროვანი ყურადღება. ლაპარაკობენ თვით მეხუთეტელებს არ უნდათ სენაკის მაზრაში გადაწერა. მე არ ვფიქრობ, რომ ქვალონის თემის მეხუთეტელნი იმდენად შეიგნებულნი იყვნენ, რომ ვერ ხვდებოდნენ, თუ რა არის მათთვის სასარგებლო. და თუ აქ ურევიან ასეთნიც ჩვენ უნდა შევიგნებინოთ მათ, თუ მთავრობა დარწმუნდება იმაში, რომ ამ ვვარი გადაჯგუფება მეხუთეტელებისათვისაც სასარგებლოა და მართვა-გამგეობისათვისაც უფრო ხელ მისაწდომი, მაშინაც ეს საკითხი უნდა დაუყოვნებლივ გადაიჭრას დადებითათ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შინაგან სახალხო საქმეთა კომისარიატი, რომელიც აქვეს სათანადო ყურადღებას ამ ვვარ გადაჯგუფებას, არც ჩვენს თემს დასტოვებს უყურადღებოთ და მიაწერს სენაკის მაზრას.

ყოფილი.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დებულება № 2257.

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.**

**საადგილ მამულო დავათა განხილვის წესის შესახებ.**

1. ყოველგვარი საადგილ-მამულო დავა მეწათმოქმედებასა და მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილ უნდა იქნეს მარტოოდენ სამაზრო საადგილ-მამულო და ცენტრალურ საადგილ-მამულო კომისიების მიერ.

2. სამაზრო საადგილ-მამულო კომისია და ცენტრალური საადგილ-მამულო კომისია განიხილავენ საქმეს არსებითად.

3. სამაზრო საადგილ-მამულო კომისია უნდა მოეწყოს თვითეული მაზრისათვის, ან სათანადო ადმინისტრატიული ერთეულისათვის. კომისია შედგება: თავმჯდომარისაგან, რომელსაც სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით დანიშნავს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი და ორი წევრისაგან, რომელთა შორის ერთს წარავლენს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო მეორეს იუსტიციის სახ. კომისარიატი, კომისიაში მუდმივი მონაწილეობისათვის.

4. ცენტრალური საადგილ-მამულო კომისია იმყოფება ტფილისში და შედგება თავმჯდომარისა და ერთი მუდმივი წევრისაგან, რომელთაც დანიშნავს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი და აგრეთვე ერთი წევრისაგან, რომელსაც წარავლენს იუსტიციის სახ. კომისარი კომისიის შედგენილობაში მუდმივი მონაწილეობისათვის.

**შენიშვნა.** იმ შემთხვევაში, უკეთუ კომისიის თავმჯდომარე ადგილობრივ არ იმყოფება მიწათმოქმედების სახ. კომისარი დანიშნავს მის მოადგილეს.

5. სამაზრო საადგილ-მამულო კომისია შეუდგება საადგილ-მამულო საქმის წარმოებას დაინტერესებულ პირის ან დაწესებულების (მომჩივანის) თხოვნით და გადასწყვეტს საქმეს მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) მოწვევით, ამ უკანასკნელისაგან—უკეთუ იგი გამოცხადდება,—ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ.

**შენიშვნა:** ახსნა განმარტება შეიძლება წარდგენილ იქნეს კომისიაში დაბარების დღისათვის და წერილობითაც.

6. საქმეთა განხილვას წესი სამაზრო და ცენტრალურ საადგილ-მამულო კომისიებში, მხარეთა წარმომადგენლობა, მოწმეთა და მცოდნე პირთა დაბარება, მათი გასამჯელო შედეგები დაბარებულ პირთა გამოუცხადებლობისა და სხვ., განისაზღვრება სათანადო წესებით, რომელიც შემოღებულია საქმეთა განხილვისათვის სახალხო სასამართლოში.

**შენიშვნა:** საჩივრის თვითეული განცხადება შეფასებულ უნდა იქნეს: ბაჟი გადახდება საჩივრის ფასის 2 პროცენტის რაოდენობისა; ამასთანავე სამაზრო კომისიას უფლება აქვს წარმოდგენილ საბუთების მიხედვით მიანიჭოს მომჩივანს სილარიბის უფლება.

7. ვადა საჩელაცო საჩივრის შეტანისათვის განისაზღვრება ორი კვირით რეზოლუციის გამოცხადების დღიდან. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს ცენტრალურ საადგილ-მამულო კომისიაში სამაზრო კომისიის მეშვეობით, რომელსაც გადაწყვეტილება გამოუტანია; სამაზრო კომისია წარადგენს დასახელებულ საჩივარს, მთელ საქმეს და თავის გადაწყვეტილებას,—საბოლოო ფორმით შედგენილს—ცენტრალურ კომისიაში სამი დღის განმავლობაში საჩივარის შეტანის დღიდან. იმავე ვადაზე ცენტრალურ კომისიაში უშალოდ მიღებული საჩივარი გადაეგზავნება კუთვნილებისამებრ სამაზრო კომისიას, ცენტრალურ კომისიაში წარსადგენათ საქმესთან ერთად.

**შენიშვნა:** ცენტრალურ საადგილ-მამულო კომისიას უფლება აქვს დანიშნოს საქმის განხილვა ადგილობრივ, რისთვისაც მოაწყობს პერიოდულ სესიებს.

8. ცენტრალური კომისიის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში და შესრულებულ უნდა იქნეს ისევე, როგორც განსაზღვრულ ვადაზე განუსაჩივრებელი გადაწყვეტილება სამაზრო კომისიისა და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, რისთვისაც მომჩივანს ეძლევა საადგილ-მამულო კომისიიდან აღსრულების ფურცელი.

9. უმაღლესი ზედამხედველობა კომისიების მოქმედებისათვის ჰქმართებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარს; უკეთუ ერთი თვის განმავლობაში დღიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების დადგენილებისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარი სცნობს რომ კომისიის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საერთო საადგილ-მამულო პოლიტიკას, იგი გააუქმებს ამ გადაწყვეტილებას და საქმის გადასინჯავს სათანადო საადგილ-მამულო კომისიას კვლავ განსახილველად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. აგვისტოს 7.

ტფილისი — სასახლე.

# პარტიული

საქართველოს კომპარტიის თბილისის სამაზრო კომიტეტი აცხადებს, კომიტეტის ყველა წევრების და ორგანიზატორების საყურადღებოთ, რომ 10 აგვისტოს 1922 წ. დანიშნულია თბილისის სამაზრო კომიტეტის პლენუმის და თბილისის მაზრის ორგანიზატორ-ინსტრუქტორების მორიგი კრება.

**დღის წესრიგი:**

1) მიმდინარე მომენტი.

2) ადგილებიდან მოხსენებები.

3) პარტიაშენებლობის ახალ კონსტრუქციასთან დამოკიდებული საორგანიზაციო საკითხი.

4) მიმდინარე საქმეები.

კომიტეტის წევრების და ორგანიზატორ-ინსტრუქტორების დასწრება 10 აგვისტოსთვის სავალდებულოა.

თ. მ. კ. მდივნის მაგიერ თ. ადამიძე. (5—4)


ღრმად მწუხარი მეუღლე, გიორგი კაცის ძე საჯაია, შვილები: ტასიკო და გუგული, გულდაწყვეტილნი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებსა და აცნობებენ, უდროოდ დაკარგეს მათთვის ძვირფასი

ანასტასია ილია თუხარლის ასულის საჯაიასას,

რომლის ტირილი, უკანასკნელი გამოთხოვების დღე და დაკრძალვა დანიშნულია აგვისტოს 10-ს. დღის 5 საათზე, საკუთარ ბინიდან ბორჯომის ქ. № 5. წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათიდან. (2—2)

ამერ კავკასიის შეერთებულ რესპუბლიკების რკინის გზათა ექსპლოატაციისა და ეკონომიური სამსახურის თანამშრომლები გულის წყვეტით და ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და თანამშრომლებს გარდაცვალებას ძვირფასი მეგობრისა და ამხანაგის

ანასტასია ილია თუხარლის ასულის საჯაიასას.

რომლის საკუთარ ბინიდან გაშორსვნება (ბორჯომის ქ. № 5) და დაკრძალვა, წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე დანიშნულია 10 აგვისტოს, დღის 5 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე.

(1—1)


# სახელმწიფო გამომცემლობა.

თანახმად არსებულ დეკრეტისა ყოველგვარი საზოგადო გასართობებზე პროცენტების გადახდის შესახებ, ქალაქს სასარგებლოდ, აღმასკომის გადასახადთა ბიურომ დადგინა. ა. წ. 1 აგვისტოდან ყველა გასართობებს გადაახდევინოს ბილეთების ღირებულებაზე 5 პრ. ც. გადასახადთა ბიუროს სასარგებლოდ.

სახელმწიფო გამომცემლობა თანახმად შეთანხმებისა აღმასკომის საფინანსო განყოფილებასთან (6 | 8 № 149) წინადადებას აძლევს ყველა კლუბებს, თეატრებს, კინოებს, ცირკებს პირებს და დაწესებულებებს, რომელნიც აწყობენ სპექტაკლებს, სალაშოებს, კაბარეს და სხვა გასართობებს ბილეთების წიგნაკები წარადგინონ რეგისტრაციისათვის სახელმწიფო გამომცემლობაში ლორისმელიქოვის ქ. № 5. ბილეთებზე იქნება დასმული სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭედი ურომლისოთ ეს ბილეთები ჩაითვლება გაუქმებულ დ. დადგენილების დამღვევნი კი მიცემული იქნებიან სამართალში და დაკარგავენ უფლებას ზემოაღნიშნულ გასართობების მოწყობაზე. ყოველგვარ ცნობების და განმარტების მიღებისათვის უნდა მიმართონ სახელმწ. გამომცემლობის გამგეს. (ლორის მელიქოვის ქ. № 5.)

(5—0)


# განცხადება

## ფულის გადაგზავნა

საქართველოს სახალხო ბანკის მიერ მოსკოვში პრესის კონტრ-საგენტოს სახელზე: 1) 24 ივნისიდან № 91—91 70 მილ. და 2) 1 ივლისიდან 170 მილ. მ. საბჭოთა ფულის ნაშენებით ჩაითვალოს გაუქმებულად.

(3—2) გრიგორი მოსკვიჩი.

## ყველა დაწესებულებათა და მოქალაქეთა

# საყურადღებოთ

კომუნალურ მეურნეობის საადგილ-მამულო განყოფილება უკვე შეუდგა ბოსტნებიდან და ბაღებიდან (მანთაშევის უფ. ბაღი ორთაჭალაში და სიხარულიძის ყოფ ბაღი საბურთალოში) ჭრნახულის გაყიდვას.

ჭრნახულის ფასები შედარებით ბაზრის საბითუმო ფასებთან ხუთიდან 10 პროც. ნაკლებია (ცნობა სტატისტიკურ განყოფილების).

საადგილ მამულო განყოფილებასთან ხელშეკრულებითი შეთანხმებაში შესულთათვის . . . . . გადახდის საავანსო სისტემა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება განყოფილებაში 10—4 საათამდის ოთახი № 52.

საადგილ მამულო განყოფილება.

ქ. თბილისი. (3—2)

### ძ. თბილისის მე-6 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს თავის კამერაში მემკვიდრეებს გარდაცვალებულის სოფიო არუთინას ასულის მარქაროვის დანაშთ ქონებაზე ორი თვის განმავლობაში ღიდან გამოქვეყნებისა.

(1—1) სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს).

# დაიკარგა

პარტიული ბილეთი № 136744, გაცემული არტემ ამბაკოს ძე ავრიკაძე—ელიავაძის სახელზე, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

(1—1)

## გაზეთის ტრესტის მთავარი

# კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თვის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

**გაფრთხილება:** ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე აგვისტოს ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები ადარ გაეგზავნება.

(0—16)

## ამიერ-კავკასიის რკინის გზათა

# სამმართველო

აცხადებს, რომ ამ ჟამად მომქმედ ტფილისის და ბათუმის ქალაქის სადგურების გარდა ამა წლის 1 აგვისტოდან დაიწყებს მოქმედებას ბაკოს ქალაქის სადგური. ქალაქის სადგური აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს: ადგილობრივ და პირდაპირ მიმოსვლის მატარებლებზე სამგზავრო ბილეთების გაყიდვას მატარებლის გასვლის წინა დღეებში (არა უგვიანეს ერთი კვირისა) ან იმავე დღეს; ყველა სიჩქარის და ძიმოსვლის ბარგისა და ტვირთების მიღებას და გაცემას, როგორც თვით ქალაქის სადგურზე, ისე სახლებში მაღაზიებში საწყობებში და სხვაგან, ქალაქის ფარგლებს შიგნივ; ტვირთების გადატანას სადგურიდან სახლებში, მაღაზიებში და სხვ. ქალაქის ყველა რაიონებში და სხვა ოპერაციებს ყოველ დღე დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე, ხოლო კვირაობით და უქმე დღეებში დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე.

**შეკვეთის მიღება სწარმოებს ტელეფონით.**

(3—3)

## ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

# სამკურნალო

საწოლი ოთახებით

## მიზეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

(25—3)

# ბინით სარგებლობის კანონი

გამოცემულია ცალკე ბროშურებათ და ამ დღეებში გაიყიდება ყველა უკანასკნელი, ამ ჟამად მომქმედი დეკრეტები და დადგენილებანი საბინაო საკითხის შესახებ, აგრეთვე დადგენილება

## კომუნალურ სამსახურზე.

ქირის შემოღების შესახებ.

ბინით სარგებლობის კანონი გაიყიდება გაზეთის ტრესტის კანტორაში (რუსთაველის პრ. № 24). და ყველა გაზეთის გამყიდველებთან.

## თითო ეკზემპლარი ღირდება 20 ათასი მანეთი.

(0—3)

## თბილისის ქალაქის აღმასკომის მიწად-მოქმედების

# განყოფილება

უკანასკნელად აცნობებს ყველა სახლის პატრონებს, რომ რეგისტრაციაში ვასატარებლად სახლების საანკეტო ფურცლების გაყიდვის ვადა გაგრძელებულია 12 აგვისტომდე, საანკეტო ფურცელი ღირს 100 000 მან. იმ შემთხვევაში თუ სახლის პატრონი არ გამოცხადდა რეგისტრაციაზე

## 12 აგვისტომდე.

**საანკეტო ფურცლის ფასი გადიდებული იქნება 500.000 მანეთამდე.**

(7—4)


# მთავრობის

## საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის

# ბანკი

ამით აცხადებს, რომ კლიენტებთან ფულის ანგარიშების გასწორების და აგრეთვე რესპუბლიკაში ფულის ტრიალის გასაადვილებლად 7 აგვისტოდან (ორშაბათიდან)

## გამოუვეგულ იქნება ბანკის ვალდებულებანი

## ღირებულებით 1 000.000, 500.000, 100.000 და 5.000,000 მანეთისა.

ეს ვალდებულებანი **უზრუნველყოფილი** იქნება ქართული ბონებით გამოშვებულ რაოდენობის მიხედვით და განაღდებული იქნება ბანკის მიერ მათ წარმოდგენისათანავე როგორც ბანკის გამგეობის კასაში—თბილისში, ისე მის განყოფილებებში, ამ ვალდებულებათა

## მიღება საგალდებულო არ არის ყველა

## მცხოვრებთათვის,

მაგრამ ბონების ვალდებულებებზე გადაცვლა და პირიქით ხდება ბანკში როგორც კლიენტებისათვის, ისე ყველა პირთათვის, რომლებიც წარუდგენენ ბანკს ვალდებულებას.

(4—4) **სახალხო ბანკის გამგეობა.**


გაზ. „ბურავდა გრუზი“-ის 29 ივლისის № 397-ში გამოქვეყნებულ განცხადების დამატებათ, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის

# სახალხო ბანკის

## გამგეობა

აცხადებს, რომ საქართველოს ცენტრმლური აღმასკომის ამა წლის 28 ივლისს № 63 დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად, წინანდელ დადგენილებათა დამატებათ აღნუსხულია:

1. ყველა მასალა და ქონება, რომელიც დარჩათ სახალხო კომისარიატებს და კერძოთ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინად არსებულ დაწესებულებათაგან, უნდა გადაეცეს სახალხო კომისართა საბჭოს ფონდში.

2. ის მასალები, რომელიც საჭიროა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსათვის წარმოებათა სამუშაოვრად დარჩეს მათ განკარგულებაში და ჩაითვალოს როგორც სესხი აღებული სახალხო კომისართა საბჭოდან.

გაუწყებთ რა ზემოხსენებულს, სახალხო ბანკის გამგეობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის მოყვანილ დადგენილების მე-2 მუხლის განსამარტებლად სახალხო ბანკის მიერ შემუშავებული იქნება განსაკუთრებული ინსტრუქცია

**სახალხო ბანკის გამგეობა.**

6—5